# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 5 სექტემბერი 2003 №167 (1938) ფასი 50 თეთრი




## შევხვდებით ხვალ!

### დებიუტანტი ჟორდანია ტანკს გადაეყარა



ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი

## საქართველო — ალბანეთი

თბილისი. ეროვნული. 6 სექტემბერი. 20 საათი

# კობიაშვილის გერმანული ძალიანაც ქართულია

## რატომ არ უნდა მოვიგოთ?!





*გუშინ საქართველოს ნაკრებმა „ეროვნულზე" სრული შემადგენლობით ივარჯიშა. საალბანეთოდ ლევან კობიაშვილითა და გოჩა ჯამარაულით გაძლიერებულმა „შინდისფერებმა" წვრთნა საღამოს 7 საათზე დაიწყეს*

გერმანული „შალკეს" ქართველი ნახევარმცველი მართლაც კარგ ფორმაშია. კობიაშვილი გუშინდელ ვარჯიშზეც ერთ-ერთი გამორჩეული იყო, თუმცა ურიგოდ არც არველაძე, აშვეთია, ქინქლაძე, ნემსაძე და დარასელია გამოიყურებოდნენ. ძველებურად საიმედო და დახვეწილია ზურაბ ხიზანიშვილი.

შვეიცარიული ვარჯიშებით გახურებულმა ფეხბურთელებმა „კვადრატი" გააჩაღეს, რასაც ორკარაც მოჰყვა. ამან კი ნაკრებს ერთი კაცი გამოაკლო — გოჩა ჯამარაული ნატკენმა კოჭმა ისევ შეაწუხა და ვარჯიში ნაადრევად შეწყვიტა. ექიმების ჩარევამ გოჩას კოჭი კი დაუცხრო, მაგრამ ალბანეთთან მისი თამაში ჯერაც საეჭვოა, საბოლოო პასუხს ექიმები ალბათ დღეს იტყვიან.

სხვა გამოსარჩევი არაფერი მომხდარა. ნაკრები მატჩს მშვენიერ ხასიათზე ხვდება, მაგრამ ყველა ფეხბურთელი ალბანელებთან თამაშზე სიფრთხილით საუბრობს — არ უნდა მოვდუნდეთ, თორემ მეტოქე ძალიან სახიფათოაო.



*ნავარჯიშევს „შალკეს" ნახევარმცველ* ***ლევან კობიაშვილს*** *გავესაუბრეთ. მთავარი თემა, ცხადია, ნაკრები იყო, თუმც არც „შალკესთვის" აგვივლია გვერდი...*

**— ერთი დღეც და ალბანეთთან მატჩი გველის. გუნდში რა განწყობაა?**

— სერიოზულად ვემზადებით. თავადაც ხედავთ, რომ ბიჭები მონდომებულები არიან და არაფრის დათმობას არ ვაპირებთ. უნდა მოვიგოთ, აქ შანსებზე და ახეთ რამეებზე ლაპარაკი არ ღირს. მოსაგები თამაში გვაქვს და ეს უნდა შევძლოთ.

**— საქართველოს ნაკრებს ალბანეთთან იოლი თამაში არასოდეს ჰქონია. მეტოქის დღევანდელ შესაძლებლობებს კარგად იცნობ?**

— ბოლო თამაშები ვნახეთ და გარკვეული წარმოდგენა შემექმნა. რამდენიმე ალბანელ ფეხბურთელს თავადაც ვიცნობ, ისინი გერმანიაში თამაშობენ და ეს ცოტას არ ნიშნავს. თან რატომღაც ბოლო წლებში სულ ალბანეთთან ვხვდებით ჯგუფში და ვფიქრობ, ერთმანეთს კარგად ვიცნობთ, მაგრამ მე ამას დიდ მნიშვნელობას არც ვანიჭებ. შინ ვთამაშობთ და უნდა მოვიგოთ. სხვა შედეგს, ცხადია, წარუმატებლობად ჩავთვლი.

**— „შალკეში" შენი გადასვლისას ბევრი ვარაუდობდა, რომ იუპ ჰაინკესი მცველად გათამაშებდა, მაგრამ მერე ისე მოხდა, რომ შემტევ ნახევარმცველად გაგამწესეს. რომელიმე კონკრეტული ამპლუა არც საქართველოს ნაკრებში გაქვს. ეს ყველაფერი უცნაურად არ გეჩვენება?**

— რა ვიცი. თავიდან მეც მეგონა, რომ „შალკეში" მცველი ვიქნებოდი, მაგრამ ასე არ მოხდა, თუმცა ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, სად ვითამაშებ. მთავარია, ძირითად შემადგენლობაში ვარ და რასაც მწვრთნელი დამავალებს, იმას გავაკეთებ. ისე კი, მაინც ვფიქრობ, რომ უფრო მეტ სარგებელს დაცვის ხაზში მოვიტანდი.

**— ევროთასებზე მინიმუმი შეასრულეთ: ინტერტოტოდან უეფას თასზე მოხვდით. ბუნდესლიგაში რას გეგმავთ?**

— მიზანი სამეულში მოხვედრაა. მომავალ წელს აუცილებლად ჩემპიონთა ლიგაში უნდა ვითამაშოთ. მართალია, არცთუ კარგი სტარტი გვქონდა, მაგრამ ამაზე წუწუნი არ ღირს. ჩემპიონატი ახალი დაწყებულია და წინ კიდევ 30 ტურია, რაც ცოტა ნაღდად არა არის. თანდათან კიდევ მოვუმატებთ და ვინ იცის, იქნებ უფრო მაღალი ადგილისთვისაც ვიბრძოლოთ.

**— „შალკეს" თავკაც იუპ ჰაინკესს ერთი უცნაური თვისებაც აქვს: ძალიან ხშირად ცვლის შემადგენლობას. ესეც ხომ არ არის სუსტი სტარტის მიზეზი?**

— არა, ასე არ ვფიქრობ. მწვრთნელს თავისი შეხედულება აქვს და გუნდს ამის მიხედვით ათამაშებს. უბრალოდ, თავიდან არ გაგვიმართლა, მაგრამ ეს წარსულს ჩაბარდა.

**— იყო თამაშები, როცა ძირითად შემადგენლობაში შენთან ერთად რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელიც არ ჩანდა...**

— დიახ, ეს ჰაინკესს ახასიათებს. თანამედროვე ფეხბურთში ხომ ძალების გადანაწილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც მთავარია, პრინციპულ თამაშებს ერთი და იგივე შემადგენლობით ვთამაშობთ. სწორედ ის არის „შალკეს" ძირითადი ბირთვი. შედარებით იოლ მეტოქეებთან კი მწვრთნელი სხვებსაც აძლევს თავის გამოჩენის შანსს. სეზონი ძალიან გრძელი და დამქანცველია. 11-12 ფეხბურთელზე გეგმების აწყობა არ ღირს. წარმოიდგინეთ, ჩემპიონატი, თასი, ევროტურნირი... ამდენ თამაშს ძალიან დიდი ენერგია მიაქვს. ამიტომაც ხდება შემადგენლობის ხშირი ცვლა. ვფიქრობ, ეს აუცილებლად, ოღონდ უმტკივნეულოდ უნდა მოხდეს.

**— შეიძლება ითქვას, რომ ახალ გარემოს იოლად შეეგუე, „შალკეში" ადაპტაცია არ გაგჭირვებია?**

— ჰო, საბედნიეროდ, ახალ გუნდთან შეწყობა ძალიან არ გამჭირვებია. ვეცდები, კიდევ უფრო მოვუმატო და „შალკესთან" ერთად წარმატებებს მივაღწიო. „ფრაიბურგიდანაც" ხომ სწორედ ამიტომ წავედი.

**ბახა შალამბერიძე**



საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

4 ტური

თსუ — ამერი

მცხეთა

7 სექტემბერი

17 საათი

არმაზი

საფრანგეთი

მეორე დივიზიონი. VII ტური

ლავალი 2:0 გრენობლი

# სიკვდილმისჯილი ატლეტი
## ტოტალიზატორში ბრიგელიც დადის



ალბანელები ამ ჯერზე „მარიოტში" დაბინავდნენ

ჰანს-პეტერ ბრიგელი თბილისში პირველად 1979 წელს ჩამოვიდა — დასავლეთ გერმანიის ნაკრებმა საბჭოთა კავშირს ამხანაგურად მოუგო 3:1. ბრიგელი მაშინ პირველ ნაბიჯებს დგამდა იუპ დერვალის „ნაციონალმანშაფტში" და ერთი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონი გახდა, 1982 და 86 წლებში კი მუნდიალური ვერცხლით დაიმშვენა მკერდი, ხოლო 1985 წელს ვერონის „ჰელასში" იტალიის ჩემპიონიც გახდა. მანამდე, „კაიზერსლაუტერნში" ბურთაობისას კი საკლუბო დონეზე ბევრს ვერაფერს გამორჩა.

მოკლედ, ალბანეთის ნაკრების დამრიგებელი გუნდში ყველაზე სახელიანი კაცია. სხვათა შორის, ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციამ იანვარში ერთთვიანი კონტრაქტის გაფორმებისას ბრიგელის ჯამაგირი ქვეყანას მოსდო — გერმანელი თვეში 17 ათას ევროს იღებს, ანუ იმაზე ცოტათი ნაკლებს, რაც იოჰან ბოსკამპს ჰქონდა საქართველოს ნაკრების მწვრთნელობისას.

გუშინ კი ახმახი ბრიგელი ხელმეორედ გვეწვია. ალბანელთა ხომალდი შუადღის სამი საათისთვის დაეშვა თბილისის აეროპორტში. საბაჟო პირველმა ბრიგელმა გაიარა და გამოსასვლელთან ელოდა ფეხბურთელებს. თმაშევერცხლილმა გერმანელმა სიგარეტი გააბოლა. მალევე შეისრუტა კვამლი და უმალ მეორე ღერს მოუკიდა — ბრიგელი სიკვდილმისჯილი პატიმარივით ეწეოდა.

ალბანელებმა საღამოს „შევარდენზე" ივარჯიშეს. ფეხბურთელებმა წვრთნა აქსელ როსის მითითებებით დაიწყეს — როსიც გერმანელი გახლავთ, ფიზკულტურაში ავარჯიშებს ალბანელებს. მან უცნაური, მაგრამ სახალისო ილეთებით გაავარჯიშა გუნდი — ფეხბურთელები სულ ჟივილ-სიცილში იყვნენ, ბრიგელი კი განზე იდგა და ხმას არ იღებდა.

რამდენიმე წუთში ბრიგელის ჯერიც დადგა — ჰანს-პეტერმა მინდორზე „ფიშკების" დაწყობა არ ითაკილა და ბიჭებს პატარა და დიდი კვადრატები შეაბერინა. მერე იყო უცნაური ორმხრივი თამაში მოედნის 3/4-ზე. ერთ მხარეს კარში ფოტოსტრაკოშა იდგა, მეორე მხარეს კი სამი მეტრნახევრიანი, „ფიშკებით" მონიშნული, ერთმანეთისგან თანაბრად დაშორებული უმეკარეო კარი იყო და გოლები იქაც გადიოდა.

ალბანეთის ნაკრებს გუშინ არ ჰყოლია საუკეთესო ფორვარდი იგლი ტარე — „ბრეშადან" „ბოლონიაში" გადასულ ტარეს ვაჟიშვილი შესძენია, მეუღლე მყისვე ვერ მიატოვა და თბილისში დღეს ჩამოვა.



*კვლავაც ატლეტური აღნაგობის ბრიგელს, რომელიც ფეხბურთელობამდე ათლეტიკით იყო გატაცებული, კვლავაც ჩაჩჩული გამაშები ეცვა, როგორც ესპანეთში და მექსიკაში. თანამემამულის გარდა მას ალბანელი თანაშემწეც ჰყავს — კვემაის აგოლი, რომელიც თარჯიმნობასაც სწევს და გერმანულის გარდა ინგლისურიც ეხერხება.*

*ერთი სიტყვით, აგოლის დახმარებით ვარჯიშის შემდეგ ბრიგელს რამდენიმე შეკითხვა დავუსვით*

— რას გვეტყვით საქართველოსთან მატჩზე?

— ალბათ კარგი გუნდი გყავთ და ძალიან ძნელი თამაში გველის. თანაც ჩვენ ფეხბურთელთა ტრავმები გვიშლის ხელს — თითქმის მოთამაშეს მოვისაკლისებთ.

— ორი კვირის წინ მაკედონიასთან გასვლაზე 1:3 წააგეთ — ეს ფსიქოლოგიურად არ თრგუნავს თქვენ გუნდს?

— არა, არანაირი ფსიქოლოგიური პრობლემა არ გვაწუხებს.

— ფეხბურთელთა ტრავმიანობა რამდენად დაასუსტებს ალბანეთის ნაკრებს?

— მოულოდნელი მაჩვენებლით ამას ნამდვილად ვერ გეტყვით.

— საქართველოს ნაკრებიდან რომელ მოთამაშეებს გამოარჩევდით?

— თქვენი ფეხბურთელები ყველანი ძალიან კარგები არიან.

— როგორ ფიქრობთ, რა შედეგით დამთავრდება საქართველო — ალბანეთი?

— ეს რომ ვიცოდე, ტოტალიზატორში დავდებდი ფულს და დიდ თანხასაც მოვიგებდი.

**დავით თავართქილაძე**




# არწივების მომთვინიერებელი

აბა, ვის არ ახსოვს ახმახი ჰანს-პეტერ ბრიგელი, ვისაც მსოფლიოს ჩემპიონატის ორ ფინალში უთამაშია? ვის არ ახსოვს 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის ბოლო წუთი, როცა მარადონას მახვილგონიერი პასით მეკარის პირისპირ გაჭრილ ხორხე ბურუჩაგას შეშლილივით მისდევდა ერთადერთი, გრძელფეხება გერმანელი.

ეს მცველი 20 წლის წინანდელი ვარსკვლავური ფეხბურთის ნამდვილი მონაწილე იყო და მან და პრებენ ელკიაერ-ლარსენმა სკუდეტო მოაგებინეს ვერონის „ჰელასს".

თბილისელებს ის ჩვენს სტადიონზეც უნახავთ, 1979 წელს, როცა დასავლეთ გერმანიის ნაკრებმა საბჭოელებს 3:1 მოუგო. ძველ გულშემატკივრებს ეხსომებათ „კაიზერსლაუტერნის" და მოსკოვის „სპარტაკის" შეხვედრაც, გერმანელებმა ბრიგელის აუწერელი ჯანით მოიგეს, გასვლითი თამაშის სამბურთიანი სხვაობა ამოქაჩეს და ევროთასების შემდეგ ეტაპზე გავიდნენ.

ახლა ჰანს-პეტერ ბრიგელი თბილისშია, როგორც ალბანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი და ყველა აღიარებს, რომ ამ პატარა ევროპულ გუნდს ძალიან სწრაფად დაატყო ხელი, თითქოს ღონე მისცა და ტაქტიკური ცოდნაც გაუღრმავა.

ბრიგელის ალბანეთს შემსრულებლები და დიდოსტატები აკლია, მაგრამ ეს გუნდი გასაოცრად გამოხატავს თავად მისი მწვრთნელის ხასიათს. ალბანეთის ნაკრები ახლა ზუსტად ისეთია, როგორი ფეხბურთელიც იყო ბრიგელი - ჯანიანი, მოძრავი და მოუღლელი.

ცხადია, ალბანელები არცთუ სახარბიელო დღეში არიან ჩვენს შესარჩევ ჯგუფში, თუმცა, მათი მდგომარეობა ჩვენსაზე სახარბიელო კი არის.

ასეა თუ ისე, ალბანელები ჩამოვიდნენ და მათ მოუძღვის კარგა ცნობილი და ჭკვიანი კაცი, 1980 წლის ევროპის ჩემპიონი, რომელმაც თავისი დიდი სათამაშო კარიერა შვეიცარიულ „ქსამაქსში" დაასრულა, მწვრთნელად კი ერთხანს გერმანელ ახალგაზრდებსაც ედგა. მოკლედ, ბრიგელი თავისი გუნდით: ჩვენი მხრიდან კი მწვრთნელთა საბჭო, რომელიც რას ახვედრებს ბრიგელის გუნდს, ჯერჯერობით ვერავინ გამოიცნო.

**ირაკლი გამყრელიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ალბანური ისტორია



1998 წლის 5 სექტემბერი. ალბანელთა მეორე სტუმრობა თბილისში. გოჩა ჯამარაულის დარტყმულს ფოტო სტრაკოშა ფეხით დაუხვდა

## 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VII ჯგუფი

1994 წლის 14 დეკემბერი
ტირანა, „ქემალ სტაფა"

**ალბანეთი 0:1 საქართველო**

0:1 შ. არველაძე (19)

ალბანეთი: სტრაკოშა, დემა, ჯუმბა, ლეკბელო (მალკო 65), ვატა (შულკუ 30), კოლა, კაჩაი, ფორტუზი, ბელაი, დემოლარი, რაკლი

საქართველო: დევაძე, ჩიხრაძე, კუდინოვი, შელია, რევიშვილი, ინალიშვილი, ქეცბაია, ქინქლაძე, გოგიჩაიშვილი (მ. ჯიშკარიანი 65), გოგრიჭიანი, შ. არველაძე (ჯამარაული 75)

გაფრთხილება: ქინქლაძე (44), ქეცბაია (52),მალკო (52)

მსაჯები: მოლნარი, შილაგი, ვარგა (სამივე უნგრეთი)

1995 წლის 26 აპრილი
თბილისი, „ეროვნული"

**საქართველო 2:0 ალბანეთი**

1:0 შ. არველაძე (2), 2:0 ქეცბაია (42)

საქართველო: დევაძე, ჩიხრაძე, შელია (ლობჟანიძე 70), კუდინოვი, ლუდუშაური, ინალიშვილი, გოგიჩაიშვილი, ჯამარაული, ქეცბაია, ყიზილაშვილი (ა. არველაძე 59), შ. არველაძე

ალბანეთი:სტრაკოშა, ლატა, მალკო, ჯუმბა, ლალიპი, კაჩაი, ფორტუზი (პრენგა 56), მემა, დემოლარი, რაკლი, კუშტა (დოსტი 84)

გაფრთხილება: ჯუმბა (45)

მსაჯები: ლუნგი, ოვერკლიფტი, ვან დეიკი (სამივე ჰოლანდია)

## მალტის საერთაშორისო ტურნირი

1998 წლის 8 თებერვალი
ლა ვალეტა, „ტა ქალი"

**საქართველო 3:0 ალბანეთი**

1:0 ქეცბაია (20), 2:0 ყაველაშვილი (29), 3:0 იაშვილი (72)

საქართველო: გვარამაძე, ჩიხრაძე, შელია, სილაგაძე, კალაძე, შეყილაძე, ჯამარაული (კიკნაძე 74), ნემსაძე, ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი

ალბანეთი:ბექაი (სტრაკოშა 74), კოტრი, შულკუ, ვატა, ფაკაში, ბუში (კოლა 46), ჰალილი, პეგო (მურატი), ლალა, ტარე (ბეიზადე 68), რაკლი

გაფრთხილება: იაშვილი, შელია

მსაჯი: აგიუსი (მალტა)

## 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. II ჯგუფი

1998 წლის 5 სექტემბერი
თბილისი, „ეროვნული"

**საქართველო 1:0 ალბანეთი**

1:0 ა. არველაძე (65)

საქართველო: გვარამაძე, წერეთელი, კალაძე, სილაგაძე (კიკნაძე 43), ნემსაძე, ჯამარაული, ქინქლაძე, კობიაშვილი, იაშვილი (ა. არველაძე 62), ქეცბაია (ზ. ჯანაშია 54)

ალბანეთი: სტრაკოშა, შულკუ, პინარი, ჯუმბა, ჰაჯი, ბატა, ლალა, კოლა, ბუში (გალო 74), ტარე (პეკო 68, მაჯუნი 86), რაკლი

გაფრთხილება: კობიაშვილი, წერეთელი, ლალა, რაკლი, ჯანაშია, კიკნაძე

გაძევება: პინარი (72), ჯანაშია (80)

მსაჯი: დე ტრუჩი (შვეიცარია)

1999 წლის 9 ოქტომბერი
ტირანა, „ქემალ სტაფა"

**ალბანეთი 2:1 საქართველო**

1:0 რაკლი (30), 2:0 კოლა (36), 2:1 შ. არველაძე (52)

ალბანეთი: ბექაი, შულკუ, ფაკაი, ვატა, ჯუმბა, ლალა, ბუში (მურატი 54), კოლა, ა. დურო, რაკლი (მუკა 75), ტარე (ბოგდანი 90)

საქართველო: ჭანტურია, კალაძე, დიდავა, ჭიჭვეიშვილი, შეყილაძე, ნემსაძე, გახოკიძე, ჯამარაული, კობიაშვილი, შ. არველაძე, ა. არველაძე (დ. ჯანაშია)

გაფრთხილება: მურატი, ბუში, კალაძე, ჭიჭვეიშვილი, შეყილაძე, კობიაშვილი

მსაჯი: მიკალევი (მალტა)

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი

## საქართველო — ალბანეთი

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 6 სექტემბერი. 17 საათი

# ლიკა ცოტას ლაპარაკობს
## ბიჭები კი ბევრს დარბიან

*გუშინ ახალგაზრდა ალბანელებმა „ნორჩი დინამოელის" მოედანზე ივარჯიშეს. საკმაოდ ათლეტურებმა ერთი საათით გვიან ივარჯიშეს, რაკიღა თბილისში ზუსტად ამდენი ხნით გვიან ჩამოფრინდნენ და ნამგზავრზე დასვენება გაუგრძელდათ. თანაც სიცხეს მოერიდნენ.*

*18 ფეხბურთელს მთავარი მწვრთნელი ჰასან ლიკა, მისი ორი თანაშემწე, ექიმ-მასაჟისტი და ადმინისტრატორი ახლავს. სულ ეს არის ჩვენი ახალგაზრდული ნაკრებიო, გვითხრა ლიკამ.*





ჰასან ლიკას ჯანიანი ბიჭები ჰყავს

ამ 18 ფეხბურთელიდან სამი ტრავმირებულია, ლიკას თქმით, ისინი მატჩის განაცხადში იქნებიან, მაგრამ მათი თამაში ფრიად საეჭვოა. დარჩენილი ოთხი სათადარიგოდან კი ერთი, ცხადია, მეკარეა, ასე რომ, ალბანელებს ჯანზე მყოფი სამი სამარქაფო მოთამაშეღა შერჩათ. რაკი მეკარე ვახსენეთ, აქვე ვთქვათ, რომ ალბანელებს ამ მხრივ პრობლემები აქვთ. ყოველ შემთხვევაში, გუშინდელ ვარჯიშზე ორივე მეკარე ბევრს სცოდავდა — წოწოლა კიპერები დაბალ ბურთებზე მოუხეშავად რეაგირებდნენ და ბურთი ხელებს შორის ხშირად უძვრებოდათ.

მინდვრის მოთამაშეებს კი კოჭებში ეტყობათ, რომ ტექნიკასთან მწყრალად არიან. სამაგიეროდ, მეორე სართულზე და ორთაბრძოლისას ათლეტური ალბანელები ჩვენებს ბევრ პრობლემას შეუქმნიან.

სტუმრებმა დაახლოებით საათნახევარი ივარჯიშეს. მათი მწვრთნელი ჰასან ლიკა ერთი-ორჯერ თუ ჩაერია წვრთნის პროცესში და მას სწორედ „უქმობის" დროს გამოველაპარაკეთ.

**— კმაყოფილი ხართ თქვენი გუნდის მზადებით?**

— ნაწილობრივ. ისე ვერ მოვემზადეთ, როგორც გვინდოდა, თანაც სამი მოთამაშე ტრავმირებულია და შეიძლება მატჩისთვის ვერ მოკეთდნენ.

**— საქართველოს ნაკრებს კარგად იცნობთ?**

— მათი ბოლო ორი მატჩის ვიდეოფირი ვნახე, შეიძლება ითქვას, ქართველებს ძლიერი გუნდი ჰყავთ. განსაკუთრებით ფლანგებს იყენებენ კარგად. ნახევარმცველებს ბურთის კონტროლი არ უჭირთ, თავდამსხმელები კი ფეხითაც მშვენივრად თამაშობენ და თავითაც. რაც მთავარია, ტექნიკურები არიან, ასეთ გუნდთან კი ყოველთვის ჭირს თამაში.

**— რა ტაქტიკით ითამაშებს ალბანეთის ნაკრები?**

— ჩვენ ძალიან ფრთხილ ტაქტიკას ავირჩევთ, ანუ უფრო დაცვიდან ვითამაშებთ და შევეცდებით, ტექნიკურ ქართველებს მოქმედების არეალი შევუზღუდოთ, თორემ თუ მათ თავისუფლად გადაადგილების საშუალება მივეცით, მერე ძალიან გაგვიჭირდება.

**— გუნდში გამორჩეული ლიდერი თუ გყავთ?**

— არა, ასეთი მოთამაშე არ გვყავს. ნაკრებში ყველა ერთი დონის ფეხბურთელია და ვცდილობთ, გუნდურ თამაშზე გავაკეთოთ აქცენტი. აქ ვინც არიან, ყველანი პირველი დივიზიონის კლუბებში თამაშობენ და საერთაშორისო მატჩების გამოცდილება არა აქვთ. გამოცდილებას მხოლოდ აქ, ნაკრებში იძენენ, რაც საკმარისი არ არის.

**— რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ?**

— ჩვენი მიზანია, საქართველოსთან არ შევრცხვეთ და კარგი ფეხბურთი ვითამაშოთ. დარწმუნებული ვარ, ძალიან მძიმე მატჩი იქნება. ისე კი, გაგვიმართლებს, თუ შინ ქულას წავიღებთ.

**ბაჩო სვანიძე**

# შიმშილობა ბასკურად
## დეპორტივოს გააქვს და არ გამოაქვს


დეპორტივო — ბილბაო. ბასკი სანტიაგო ესკუერო ბურთს მკერდით გადაელობა

REUTERS

### ესპანეთი
**პრიმერადივიზიონი. II ტური**

### ატლეტიკო 1:0 ალბასეტე
1:0 ხორხე (60)
ატლეტიკო: ბურგოსი, პინოლა, ორტიზი, გარსია კალვო, ლეკუ, მუსამბა (ნანო 69), ხორხე (დე ლოს სანტოსი 83), სიმეონე, როდრიგო (მაუნოვიჩი 57), ნოვო, ფ. ტორესი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
ალბასეტე: როა, ოსკარი, უნაი, პენია, პაბლო, ვიაუ, მარი (დ. სანჩესი 59), ლავალი, იგან დიასი, დელპორტე (პაბლო გარსია 72), კაკა (ამატო 67)
მწვრთნელი: ხუზარ ფერანდო
გაფრთხილება: ორტიზი, უნაი, ლავალი
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
45 000 მაყურებელი

### დეპორტივო 2:0 ბილბაო
1:0 ვალერონი (12), 2:0 პანდიანი (67)
დეპორტივო: მოლინა, რომერო, ნაიბეტი (მანუელ პაბლო 73), ხორხე ანდრადე, მ ექტორი, მაურო სილვა, სერხიო, ვიქტორი, ვალერონი, დიეგო ტრისტანი (პანდიანი 56), ლუკე (ფრანი 66)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ბილბაო: არანსუბია, ლარასაბალი, კარანკა, ლაკრუზი, იესტე (ურსაისი 59), ხავი გონსალესი, ირაოლა (ბორდასი 71), გურპეგი, ტიკო, ესკერო (იონანი 84), ეზებერია
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
გაფრთხილება: მაურო სილვა, ჰექტორი, გურპეგი
მსაჯი: მედინა კანტალეხო
30 000 მაყურებელი

### ბეტისი 2:2 ესპანიოლი
1:0 ხოაკინი (30), 2:0 პალერმო (38), 2:1 რაულ მოლინა (68), 2:2 ლოპო (90)
ბეტისი: კონტრერასი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, ვარელა, ლემბო, არსუ (იტო 80), ფერნანდო, დენილსონი (ისმაელი 62), ხოაკინი, ასუნსაო, პალერმო (ალფონსო 69)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ესპანიოლი: ლემენსი, ვომე, ლოპო, ტორიჩელი, დომორო, ფარკი (რაულ მოლინა 54), მაქსი, ბობსონი (ალექს ფერნანდესი 49), ბასტია, ტაიფუნი, ხორდი (დ. გარსია 75)
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
გაფრთხილება: ბასტია, ტაიფუნი, ფარკი, ლემბო, არსუ, ხოაკინი, ვომე, რაულ მოლინა, ხოაკინი, ლუის ფერნანდესი
გაძევება: ხოაკინი (90)
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
35 000 მაყურებელი

### მალიორკა 2:0 სარაგოსა
1:0 ბრუგინკი (42), 2:0 ეტოო (53პ)
მალიორკა: მიკი, ნინიო, კორტესი, პოლი, ნადალი, კამპანო, კოლსა (ნაგორე 89), ნარკოსი, ტონი გონსალესი (სტანკოვიჩი 74), ეტოო, ბრუგინკი (ხესუს პერერა 83)
მწვრთნელი: ხაიმე პაჩეკო
სარაგოსა: ლაინესი, კვარტერო, ალვარო, მილიტო, გალეტი, ხავიო, ველისკა (დრულიჩი 46), პონციო, დავიდ პირი, ხორიანი (ხესუსი 74), ვილა (იორდი 74)
მწვრთნელი: პაკო ფლორესი
გაფრთხილება: პოლი, კორტესი, პირი, მილიტო
მსაჯი: ფუენტეს ლეირა
12 000 მაყურებელი

### ვალიადოლიდი 1:0 მალაგა
1:0 ხესუსი (42პ)
ვალიადოლიდი: ბიზარი, მარკოსი, ტორეს გომესი, ჟულიო სეზარი, ხესუსი, ჩემა (ჯონათანი 59), ზაპატა (ოსკარ სანჩესი 79), რიკეტი, კამინერო, სოუზა (ოსკარი 72), პაზონი
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
მალაგა: არნაუ, ხოსემი, ლიტოსი, ვალკარსე, სანსი (ინსუა 62), ხერარდო, რომერო, მანუ (ლუკე 54), დუდა, დიეგო ალონსო (გეისო 54), ედგარი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: სანსი, ჟულიო სეზარი, ხერარდო, ხესუსი, მარკოსი
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
11 000 მაყურებელი

### მურსია 1:1 რასინგი
1:0 რიჩი (9), 1:1 ხავი გერერო (45)
მურსია: სანჩეს ბროტო, როტეტა, ხუანმა, კუადრადო, მაკიელი (იენსენი 79), პედრო ლარგო, ფრედი (კანტანა 63), აკიარი, მიჩელი, ლუის გარსია, რიჩი (დ. კარანკა 63)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო
რასინგი: რიკარდო, კორომინა, ნერუ, მორა, ხუანმა, ნაფტი, პაბლო ლაგო (აიოზი 84), ჩიკი (მორანი 60), მატაბუენა, ბოდიპო, ხავი გერერო (მატეო 88)
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: მატაბუენა, მორა, ნაფტი
მსაჯი: ტელეს სანჩესი
12 000 მაყურებელი

### ვილიარეალი 1:1 რეალი
1:0 ანდერსონი (71), 1:1 ნუნიესი (85)
ვილიარეალი: რეინა, ბალესტეროსი, კიკე ალვარესი, ხავი ვენტა, არუაბარენა, როხერ გარსია (არსო 90), რიკელმე, მარტი, ფერნანდესი (კალეხა 58), ანტონიო, ხოსე მარი (ანდერსონი 69)
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
რეალი: კასილიასი, სალგადო, რუბენი, პავონი, რაულ ბრავო, ბექემი, ელგერა (ბორხა 83), ზიდანი (სოლარი 26), ფიგუ, რაული, პორტილიო (ნუნიესი 77)
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
გაფრთხილება: ბალესტეროსი, ბექემი, სალგადო, რიკელმე
მსაჯი: ალფონსო სამორანო
16 800 მაყურებელი

### სოსიედადი 1:1 სელტა
1:0 კოვაჩევიჩი (37), 1:1 მილოშევიჩი (63)
სოსიედადი: ვესტერფელდი, რეკარტე, ხაურეგი, შურერი, არანსაბალი, ხაბი ალონსო, არანბურუ (ალკისა 72), კარპინი, დე პედრო (ბარკერო 72), კოვაჩევიჩი, ლი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
სელტა: პინტო, ხუანფრანი, ბერიცო, ანხელი, სილვინიო, სერხიო, ხანდრო (ხესული 54), ხოსე იგნასიო (ვაგნერი 72), ლუქსენი, ედუ, კატანია (მილოშევიჩი 54)
მწვრთნელი: მიგელ ლოტინა
გაფრთხილება: კოვაჩევიჩი, კარპინი, კატანია, ვაგნერი, ხესული
მსაჯი: ტეიშეირა ვიტენსი
23 000 მაყურებელი

### ოსასუნა 0:1 ვალენსია
0:1 ბარახა (49)
ოსასუნა: სანხოლი, ისკუერდო, კრუჩაგა, ხოსეტო, ანტონიო ლოპესი, პუნალი (ალფრედო 56), პაბლო გარსია, რივერო (ივან როსადო 61), ვალდო, მოჰა, ალოიზი (მორალესი 70)
მწვრთნელი ხავიერ აგირე
ვალენსია: კანისარესი, გარიდო, მარჩენა, პელეგრინო, კარბონი, ბარახა, ალბელდა, ხორხე ლოპესი, მისტა (ნავარო 79), ვისენტე (კანობიო 70), ოლივეირა (ხუან სანჩესი 73)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ალფრედო, ისკუერდო, მისტა, ალბელდა, კარბონი, ვისენტე, გარიდო
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
14 195 მაყურებელი

### ბარსელონა 1:1 სევილია
0:1 რეიესი (9პ), 1:1 რონალდინიო (58)
ბარსელონა: ვალდესი, პუიოლი, ანდერსონი, მარკესი, ოსკარ ლოპესი (როსი 84), ხერარდი, ხავი, ლუის ენრიკე, რონალდინიო, კვარესმა (სერხიო 79), სერხიო გარსია (ინიესტა 90)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
სევილია: ნოტარიო, დანიელი, პაბლო ალფარო, ხავი ნავარო, დავიდი, გალარდო (ვალესი 72), ბაპტისტა (ხილი 67), გასკუერო (აიტორი 85), მარტი, დარიო სილვა, რეიესი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
90 000 მაყურებელი

„ოსასუნა“ ძალიან ცოტა ხნით იყო პრიმერადივიზიონის ლიდერი, „ბარსელონა“ კი კიდევ უფრო მცირე ხნით. ორი ტურის მერე ქულადაუკარგავი ერთი გუნდიღა დარჩა და, ცხადია, ახალი ლიდერიც ის გახლავთ. ამასთანავე, „დეპორტივო“ ერთადერთია, ჯერ გოლი რომ არ გაუშვია.

მეორე ტურში ლაკორუნიელებმა „ბილბაო“ დაჩაგრეს. ბასკებს კი თავის მხრივ ჯერ არც გოლის გემო გაუსინჯავთ და არც ქულის.

გალისიელები ხუან კარლოს ვალერონმა დააწინაურა ძალიან ლამაზი გოლით, მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო. მეორე გოლი კი ვალტერ პანდიანიმ შეაგდო — პირველი მატჩის მსგავსად, შეცვლაზე შევიდა და გაიტანა.

უბურთოდ და უქულოდაა „ალბასეტეც“, რომელიც ამ ტურში მადრიდში დამარცხდა. იფიქრებთ, დებიუტანტი „ატლეტიკოსთან“ აბა, რას გახდებოდაო, მაგრამ მთლად ეგრეც არ იყო საქმე. კი, „ალბასეტე“ დიდი ვერაფერი გუნდია, მაგრამ არც „ატლეტიკო“ ჩანს წლეულს კარგი გუნდი. მწირმომენტებიან შეხვედრაში მასპინძლებმა დიდი გაჭირვებით, ხორხეს უნაკლოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმით მოახერხეს სამი ქულის მოხვეჭა, ისე კი, თამაშიდან გოლის გამტანნი არ იყვნენ.

საჯარიმო დარტყმითვე გაიტანა გოლი „რასინგმა“ მურსიაში, ოღონდ სანტანდერელები დივიზიონის ახალწვეულთან მარცხდებოდნენ და ეს გამთანაბრებელი გოლი იყო.

ფარსაგი რამ შეემთხვა „რეალ ბეტისს“, რომლის მსგავსი ხდება ხოლმე და მომავალშიც მოხდება, თუმცა აღნიშვნის ღირსი უთუოდ არის. სევილიელები 2:0 იგებდნენ და საქმე სამ ქულამდე ვერ მიიყვანეს.

„ბეტისი“ ხოაკინმა დააწინაურა, მერე კი მარტინ პალერმომაც გაიტანა თავისი პირველი ბეტისური გოლი. ამის გარდა, მასპინძლებმა აურაცხელი კარგი მომენტი შექმნეს, მაგრამ რად გინდა — „ესპანიოლის“ მთავარმეგოლე რაულ მოლინამ ჯერ ერთი ბურთი გაქვითა, მესამე წამატებულ წუთზე კი ალექსის ჩაწოდებულ საჯარიმოს ალბერტო ლოპომ თავი შეუშვირა და მონასტერიც აირია. ხოაკინმა ისე უკმეხად გააპროტესტა ეს გოლი, რომ მსაჯს წითელი ბარათიც დასტყუა.

პირველი გამარჯვებები იზეიმეს „ვალიადოლიდმა“ და „მალიორკამ“. ვალიადოლიდელებმა პენალტით გატანილი გოლით მოუგეს „მალაგას“. პენალტი კი „რეალის“ ყოფილი პრეზიდენტის შვილის, ფერნანდო სანსის ფრანსისკო სოუზა, წინააღმდეგ უხეშ თამაშს მოჰყვა.

„მალიორკამ“ კი „სარაგოსა“ სამუელ ეტოოს კარგი თამაშის წყალობით დაამარცხა. კამერუნელმა ჯერ არნოლდ ბრუგინკს დაუგორა საგოლე პასი, თავად კი პენალტით გაიტანა.

**კოტე კეკელია**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 2 |
| ხავი გერერო (რასინგი) | 2 |
| სამუელ ეტოო (მალიორკა) | 2 |
| პანდიანი (დეპორტივო) | 2 |
| მილოშევიჩი (სელტა) | 2 |

### III ტური
3 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| ალბასეტე | — | ბარსელონა |
| ბილბაო | — | მალიორკა |
| სელტა | — | ბეტისი |
| ესპანიოლი | — | ვილიარეალი |
| რასინგი | — | სოსიედადი |
| რეალი | — | ვალიადოლიდი |
| სევილია | — | დეპორტივო |
| ვალენსია | — | მალაგა |
| სარაგოსა | — | მურსია |
| ოსასუნა | — | ატლეტიკო |


მალიორკა — სარაგოსა. სამუელ ეტოოს ალვარო ლუისი თავზე წამოაქტა

REUTERS

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დეპორტივო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 2 | რასინგი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 3 | რეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 4 | ვალიადოლიდი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 5 | ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 6 | სევილია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 7 | ვალენსია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 8 | მალიორკა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 9 | ოსასუნა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 10 | ატლეტიკო | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 11 | ესპანიოლი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 12 | სოსიედადი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 13 | მურსია | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 14 | სელტა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 15 | ვილიარეალი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 16 | ბეტისი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 17 | მალაგა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 18 | სარაგოსა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 19 | ალბასეტე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 20 | ბილბაო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |

# ცხრიანით მეცხრე ცაზე




*მადრიდის „რეალიდან“ ფერნანდო მორიენტესის წასვლის შემდეგ რონალდომ 9-ნომრიანი მაისურა დაიბრუნა. ბრაზილიაში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ჩასული კიჭა საყვარელი 9-იანის დაბრუნებით ფრიად გახარებულია და იმის იმედიც აქვს, რომ წლევანდელი სეზონი სამეფო გუნდისთვის განვლილზე უკეთესი იქნება. სან პაულუში მყოფ რონალდოს ესპანური „მარკას“ რეპორტიორი ესაუბრა*

**— როდესაც ამ სადავო მაისურაზე „რეალის“ თავკაცთა გადაწყვეტილების შესახებ შეიტყვეთ, მადრიდულ ფორმაზე თქვენივე ხელით დააწერეთ ძველ-ახალი ნომერი. ეს ჯადოსნური ცხრიანი რონალდოსთვის ბევრს ნიშნავს?**

— ჩემთვის ეს ნამდვილად ჯადოსნური რიცხვია. ბავშვობიდან მოყოლებული 9 მუდამ ჩემი ნომერია. ბრაზილიაში უფრო პოპულარული 10-ნომრიანი მაისურაა, თავის დროზე ხომ ამ რიცხვით პელე, ზიკო და რივალდო ბურთაობდნენ, თუმცა ჩემი რჩეული ყოველთვის ცხრიანი იყო და მუდამ ასე დარჩება.

**— მაგრამ „რეალში“ თავიდან 11-თან შეამხანაგება მოგიწიათ...**

— მაშინ სხვანაირად არ შეიძლებოდა. ცხრიანი ფერნანდო მორიენტესს კონტრაქტით ეკუთვნოდა. გუნდში სიტუაციის გართულებას მოვერიდე და 11-ნომრიან მაისურაზეც ამიტომ დავთანხმდი. მინდა, გითხრათ, რომ ჩემი ცხრიანისადმი სიყვარული ფანატიზმში არ გადადის — მილანის „ინტერში“ პირველი სეზონი 10 ნომრით ვითამაშე, ცხრიანით იმ დროს ჩილელი ივან სამორანო ბურთაობდა.

**— ახალი მაისურით რონალდოს ახალი ცხოვრებაც დაიწყება?**

— კაცი ყოველთვის განვლილის გაუმჯობესებას ცდილობს და უფრო მეტის მიღწევაც ალბათ ამიტომ მინდა, თორემ წინა სეზონით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონობა მოვიპოვე, ბევრი გოლიც გავიტანე, ვთამაშობ მსოფლიოს საუკეთესო კლუბ მადრიდის „რეალში“ და ყველა ურწმუნო თომას გულის გასახეთქად საქვეყნოდ დავამტკიცე, რომ ტრავმათა სრულად დაძლევა შემიძლია. მსურს, რომ ცხოვრებაში და მინდორზეც ამ ტრადიციას არ ვუღალატო და ახალ, დიდ გამარჯვებებს მივაღწიო.

**— „რეალზე“ ამბობთ, მსოფლიოში საუკეთესოაო. რომელ გუნდს ამჯობინებთ, შარშანდელს თუ ახლანდელს?**

— მხოლოდ დროს შეუძლია, ამაზე პასუხი გაგცეთ. ჩემი აზრით, ამგვარი დაპირისპირება და შედარება მართებული არ უნდა იყოს. უკეთესი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სამეფო გუნდს, მაშინდელსაც და დღევანდელსაც, ჰყავს ლეგენდარული ფეხბურთელებით დაკომპლექტებული შემადგენლობა, რომელსაც უპირველეს ყოვლისა, საქმის კეთება მართებს. ისტორია მარტო სახელებით არ იქმნება და ინჩასებიც ჩვენგან ჯილდოებს ელიან.

**— გუნდში დევიდ ბექჰემი მოვიდა და კლოდ მაკელელე წავიდა. ამის შესახებ რას იტყოდით?**

— ორივე ფეხბურთელმა თავისი შანსი გამოიყენა. ფლორენტინო პერესმა დევიდი მადრიდში მიიწვია, ისიც დათანხმდა, ყოველგვარი ძალდატანებისა თუ სხვა რაიმე მაქინაციების გარეშე. კლოდ მაკელელეს შემთხვევაც იგივეა. ახლა „რეალიც“ კმაყოფილია საკუთარი არჩევანით და ლონდონის „ჩელსიც“. არც არის საჭირო ამ ამბავზე დიდი აჟიოტაჟის ატეხვა.

**— ამბობენ, რომ „რეალის“ ვარსკვლავები ყოველ მატჩში საბრძოლველად თავს არ იწუხებენ და არის თამაშებიც, როცა მოედანზე მიმდინარე მოვლენებისადმი საკმაოდ ინერტულადაც არიან განწყობილნი. ეს სიმართლეა?**

— ნებისმიერი დროს მინდორზე უძლეველი მეომარი ვერ იქნები, მაგრამ „რეალის“ ბიჭებს თუ სათამაშო მოტივაცია აკლდათ, ეს პირველად გავიგე. ჩვენ ხომ მოედანზე იმიტომ გავდივართ, რათა ფეხბურთი ვითამაშოთ, ანუ საყვარელი საქმე ვაკეთოთ. „რეალისთვის“ ეს მოტივაციაა, ბრძოლაც და რაც გინდათ ის დაარქვით. იხსომეთ — „რეალი“ წაგების ან ფრის გამო უსიამოვნო სიტუაციაში იმიტომ ვარდება, რომ ან მოწინააღმდეგეა ძლიერი, ან ფორტუნამ ზურგი აქცია. რონალდოს და სხვა მობურთალეების ინერტულობა კი, მერწმუნეთ, ოდენ ზღაპარია.

**ლადო ხომერიკი**

# რამდენი წლის ბრძანდებით ბრაზილიელებო?

**რივალდომ** ფიფა გააკრიტიკა — მოგეხსენებათ, ახალი წესის თანახმად მსოფლიოს ჩემპიონი შესარჩევ ტურნირში მონაწილეობს, მსოფლიოს ჩემპიონი კი რივალდოს სამშობლოს, ბრაზილიის ნაკრებია.

„გადაწყვეტილება სასტიკად მცდარია. ჩვენ იძულებულნი ვართ, შესარჩევებზე ვიმოგზაუროთ, ეს კი ძალიან დიდი მსხვერპლია“.

მაგრამ, რივალდოს კრიტიკით არაფერი შეიცვლება. ბრაზილიელ ვარსკვლავებს მომდევნო 30 თვეში 18 თამაშის ჩატარება მოუწევთ, რათა შეინარჩუნონ იმ ერთადერთი გუნდის სტატუსი, რომელიც ყველა მსოფლიოს ჩემპიონატზეა ნათამაშევი. პირველი შეხვედრა პენტაკამპეონებს კვირას, კოლუმბიასთან აქვთ (თამაში კარიბეთის პორტ ბარანკილაშია დანიშნული), მეორე კი სამი დღის შემდეგ შინ, ამაზონისპირა ქალაქ მანაუსში, ეკვადორთან უწევთ.

„პირველი შთაბეჭდილებები გუნდს ბოლომდე სდევს ხოლმე, — თქვა რივალდომ, - ამიტომ, კვირას, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის თავმოყვარეობა იქნება დახლზე გამოტანილი. ბრაზილიის ნაკრები ის გუნდია, რომელიც მხოლოდ თავის თავთან მარცხდება. თუ ისე ვითამაშებთ, როგორც შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვთამაშობდით, ჩვენი დამარცხება ძალიან ძნელი იქნება“

თანაგუნდელს სიტყვა მარცხენა მცველმა, რობერტო კარლოსმაც წააშველა:

„რას ნიშნავს ბრაზილიის ნაკრები, მხოლოდ მაშინ ხვდები, როდესაც ამ ნაკრების წევრი ხარ. ჩვენ ენთუზიაზმი სულაც არ გვაკლია. მე, მაგალითად, ამ გუნდის წევრობით ვამაყობ და როდესაც ბრაზილიის საფეხბურთო კავშირიდან მიკავშირდებიან, რათა სათამაშოდ მიმიწვიონ, სიხარულით დავხტივარ. ბრაზილიაში ჩამოსვლისას პირველი, რაც გავაკეთე ის იყო, რომ სამკერდე ნიშანს შევხედე და მასზე გამოხატული მეხუთე ვარსკვლავი დავინახე“.

მაშ ასე, 2006 წლის მუნდიალამდე ჯერ სამი წელიწადია, მაგრამ სამხრეთ ამერიკაში დიდი თამაშები უკვე იწყება. ზემოთ ბრაზილიაზე, მსოფლიოს ჩემპიონზე მოგახსენებდით, მაგრამ პირველად ბურთი არგენტინის დედაქალაქში გაგორდება — ორგზის ჩემპიონი ჩილე ეწვევა.

რატომ იწყება შეჯიბრება ასე ადრე? საქმე ის გახლავთ, რომ სამხრეთამერიკელებს თავად სურდათ, იქაურ 10 ნაკრებს ორჯერ, შინ და სტუმრად ეთამაშად ერთმანეთთან. ერთი სიტყვით, ამერიკელები თამაშების რაოდენობის გაზრდას ითხოვდნენ, მაგრამ მათი 19 თვეში ჩატევა შეუძლებელი გახდა — ამ იდეამ ევროპული კლუბები განარისხა: გამოდიოდა, რომ მათ თავიანთი მოთამაშეები თვეში ერთხელ ოკეანის გადაღმა-გადმოღმა უნდა გაეშვათ, ამიტომაც, კალენდარი გაწელეს და ფორმატი შეინარჩუნეს, თუმცა ერთი შეჯიბრების ხამ წელიწადზე გაჭიმვამ ლაფსუსებიც მოიტანა. უპირველეს ყოვლისა, პრობლემის წინაშე მწვრთნელები დადგნენ. ახლა ისინი საოცარ ამოცანას ეჭიდებიან: უნდა შექმნან და შეინარჩუნონ გუნდი, რომლის ტაქტიკა თუ სხვა უამრავი კომპონენტი სამ წელიწადზე ექნებათ გათვლილი. დაგვეთანხმებით, ერთი გუნდისთვის სამი წელიწადი უხერხულად დიდი დროა.

2006 წლის ივლისში ბრაზილიის ნაკრების დღევანდელი კაპიტანი კაფუ 36 წლის იქნება, რივალდო 34-ის, როლო რონალდო ოცდამეათე დაბადების დღესთან იტრიალებს.

გარდა ამისა, იმავე გუნდის მწვრთნელი, კარლოს ალბერტო პარეირა 63 წლისა, ხოლო მისი თანაშემწე მარიო ზაგალო 75 წლის აღსანიშნავი ზეიმის სამზადისში იქნება. რაც შეეხება რომარიოს, რომელიც იმედოვნებს, რომ აი, ახლა კი დაბრუნდება ნაკრებში, იმხანად 40 წლის დღეობა უკვე გადახდილი ექნება.

**პაატუნა ძიძია**





რივალდომ ფიფას კი შეუტია, მაგრამ კარლოს ალბერტო პარეირას ბრძანებებს უსიტყვოდ ემორჩილება

## პორტუგალია

### სუპერლიგა. III ტური

ჟილ ვისენტე 2:0 ფერეირა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიტიმუ | 3 | 3 | 0 | 0 | 3:0 | 9 |
| პორტუ | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ბოავიშტა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| ნასიონალი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:1 | 6 |
| ბრაგა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| სპორტინგი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:7 | 6 |
| ბენფიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ჟილ ვისენტე | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| აკადემიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ალვერკა | 3 | 1 | 0 | 2 | 1:2 | 3 |
| ბეირა მარი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| გიმარაეში | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| მორეირენსე | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| ფერეირა | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| ბელენენსეში | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| რიუ ავე | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| ლეირია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| ამადორა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | 1 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა IX ტური

ბაზელი 4:1 სტ. გალენი
ქსამაქსი 2:3 სერვეტი
ვილი 1:0 აარაუ
იანგ ბოიზი 4:0 გრასჰოპერი
ციურიხი 4:0 თუნი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 9 | 9 | 0 | 0 | 33:9 | 27 |
| იანგ ბოისი | 9 | 6 | 0 | 3 | 20:15 | 18 |
| სერვეტი | 9 | 5 | 2 | 2 | 19:16 | 17 |
| აარაუ | 9 | 3 | 4 | 2 | 12:11 | 13 |
| ქსამაქსი | 9 | 3 | 2 | 4 | 11:12 | 11 |
| გრასჰოპერი | 9 | 3 | 1 | 5 | 12:19 | 10 |
| სენტ გალენი | 9 | 2 | 3 | 4 | 13:17 | 9 |
| ციურიხი | 9 | 2 | 2 | 5 | 15:14 | 8 |
| თუნი | 9 | 1 | 4 | 4 | 8:20 | 7 |
| ვილი | 9 | 1 | 2 | 6 | 12:22 | 5 |




გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი და რუდი ფიოლერი გერმანიის გადასარჩენად დაირაზმნენ

# ჰიონესი უცხოპლანეტელებს მქომაგებს

## ფიოლერმა ოთხმოცში ორმოცი ვერ იპოვა

*ბუნდესნაკრების ბოლოდროინდელი სუსტი თამაშით განწყენებულმა რუდი ფიოლერმა დაიჩივლა, ქვეყანაში ძალიან ბევრი ლეგიონერია და ახალგაზრდა გერმანელ ფეხბურთელებს განვითარების საშუალებას არ აძლევენო.*

*ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გერჰარდ მაიერ-ფორფელდერმა ფიოლერს კვერი დაუკრა, ეროვნულ ნაკრებში შევსება აღარ მოდისო*

„ჩვენ რასისტები არ ვართ — დააკონკრეტა პრეზიდენტმა — მაგრამ უცხოელთა რაოდენობა 60 პროცენტამდე გაიზარდა და ეს პრობლემებს გვიქმნის".

მაიერ-ფორფელდერი კრიტიკით გერმანიის ფეხბურთის ლიგასაც გადასწვდა. მან ლიგელებს გადაწყვეტილება დაუწუნა, რომლის თანახმადაც კლუბებს შემადგენლობაში ხუთი არაევროკავშირელის შეყვანა შეუძლიათ.

ეს მოხდა ფეხბურთის ფედერაციაში შემუშავებული ახალი კანონპროექტის ფონზე და მის მიხედვით, არაევროკავშირელები ერთ კლუბში სამზე მეტი არ უნდა იყოს. ლიგასა და ფედერაციას შორის ფუნქციები განაწილებულია, პირველს ჩემპიონატის გამართვა ევალება, მეორე გერმანიის თასს პატრონობს. როცა საქმე უცხოელთა ლიმიტზე მიდგა, აქ უკვე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

პრეზიდენტის თქმით, არ სრულდება მთავარი წესი: ყველა კლუბს გუნდში 12 გერმანელი აუცილებლად უნდ ჰყავდეს. „ზოგიერთს — დასძინა მაიერ-ფორფელდერმა — განაცხადში მწვრთნელთა თანაშემწეები შეჰყავს, რათა საჭირო რაოდენობა, 12 შეასრულოს".

ფეხბურთის ფედერციის თავკაცი ბუნდესნაკრების მწვრთნელის გულისტკივილს გამოეხმაურა და აღნიშნა: „80 მილიონიან ერში რუდი ფიოლერი 40 კაცს გაჭირვებით რომ მოაგროვებს, ეს უკვე საგანგაშოა. ვფიქრობ, ვითარებიდან გამოსავალს ერთად მოვძებნით. სხვა ქვეყნებში ამ ამოცანის გადაჭრა შეძლეს."

პრეზიდენტი ბჭობს, მაგრამ მიუნხენის „ბაიერნის" კომერციული დირექტორი ული ჰიონესი იცინის: „აბსურდია. ჩვენ გლობალიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ და ევროპელობა გვსურს. ყველაფერი ისე უნდა მივიღოთ, როგორც არის. მე გუნდიდან უცხოელ ფეხბურთელებს ვერ გავუშვებ".

ჰიონესის ნათქვამს რუდი ფიოლერმა ასე უპასუხა: „ქვეყანაში მთავარი ეროვნული ნაკრებია და არა მიუნხენის „ბაიერნი".

**გაგა ხუციშვილი**

# როსიცკიმ არ ჩამოაქრევინა

## ჩეხი ოცპროცენტიან შემცირებაში მოჰყვა



დორტმუნდის „ბორუსიას" ბუნდესლიგის დაწყებამდე ტრავმების გამო ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი გამოაკლდა. ამის გამო „შავყვითლებმა" სეზონი მძიმედ დაიწყეს და ჩემპიონთა ლიგაშიც ვერ მოხვდნენ.

ლიგის გარეთ დარჩენამ კლუბის სალაროზე უარყოფითად იმოქმედა. „ბორუსიას" ფინანსურად გაუჭირდა და დორტმუნდელთა პატრონმა გადაწყვიტა, ფეხბურთელებისთვის ოცი პროცენტით შეემცირებინა ჯამაგირი.

ხელფასის შემცირებას სიხარულით არსად ხვდებიან და „ბორუსიაშიც" ასე მოხდა. კლუბის რამდენიმე მოთამაშემ, მათ შორის ტომაშ როსიცკიმ, შემცირებულ ჯამაგირზე უარი თქვა. „გუნდში დაძაბული ვითარებაა, რადგან ფეხბურთელებს ხასიათი წაუხდათ. კლუბის დირექტორატმა გამოგვიცხადა, რომ ვინც ოცპროცენტიანი შემცირების წინააღმდეგია, ტრანსფერზე დააყენებენ. ვფიქრობ, მეც მათ შორის აღმოვჩნდები" - თქვა ჩეხმა.

როსიცკის თქმით, მისი შეძენის სურვილი აქამდეც არაერთ ევროპელ ბობოლას გამოუთქვამს და ამჟამად მის გადასაბირებლად ყველაზე ნოყიერი ნიადაგია. მთავარი წინააღმდეგობა დახურული სატრანსფერო ფანჯარაა და ჩეხს სავარაუდოდ, ზამთრამდე ლოდინი და კვლავ „ბორუსიაში" თამაში მოუწევს.

# რა? რომა?!

## კარეუ ვალენსიიდან სიხარულით გარბის

**მთელი ზაფხულის** მანძილზე ფაბიო კაპელო ახალ თავდამსხმელს ეძებდა. დედაქალაქელებმა კარგა ხანს იწვალეს ფერნანდო მორიენტესის შესაძენად, მაგრამ ესპანელი ვერაფრით დაიყოლიეს. შემდეგ არგენტინელ ხულიო კრუზზე გადაერთვნენ, მაგრამ ისევე, როგორც სხვა რამდენიმე შემთხვევაში, აქაც ხელი მოეცარათ. ხოლო ახლა, როდესაც სატრანსფერო ფანჯარა უკვე დაიხურა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა, იტალიურ კლუბში ნორვეგიელი იონ კარეუ ვიხილოთ.

როგორც „რუსენბორგის" ყოფილი ფორვარდი ამბობს, ეს შესაძლებელი მას მერე გახდა, რაც კარეუს ამჟამინდელი კლუბი „ვალენსია" მის „რომაში" ერთწლიან განათხოვრებას დათანხმდა. 24 წლის ახმახი ზანგი ამით ძალიან კმაყოფილია და სიხარულს ვერ ფარავს.

იონ კარეუ: „ეს ჩემი ცხოვრების ბრწყინვალე მომენტია. „რომა" დიდი გუნდია და მაძლევენ შანსს, ვითამაშო მსოფლიოს ყველაზე რთულ და საუკეთესო ჩემპიონატში. ამის წარმოდგენაც კი არ შემეძლო. „რომაში" გადასვლა ჩემი კარიერის მწვერვალია და მინდა ამით ვისიამოვნო."

ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე „რომამ" მხოლოდ კრისტიან კივუ გადაიბირა, მაგრამ კარეუ ფიქრობს, რომ დედაქალაქელებს შესწევთ უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლის ძალა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ევროსარბიელზე „ვალენსია" გაცილებით უკეთ ირჯებოდა, ვიდრე ფაბიო კაპელოს გუნდი და ჩემპიონატთა ლიგის ფინალში ორჯერ ზედიზედ სწორედ გალისიელები გავიდნენ და არა რომაელები. ნორვეგიელის აზრით, იტალიელები ბევრად ძლიერები არიან „მესტალიას" ბინადრებთან შედარებით.

„ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებ ვარჯიშსა და თამაშს ისეთ ვარსკვლავებთან, როგორებიც ემერსონი, ტოტი, მონტელა, კასანო, კივუ და სხვები არიან. — „რომას" უდიდესი პოტენციალი აქვს. მე ჯერ არ დამვიწყებია, როდესაც იტალიელები „მესტალიაზე" გვეწვივნენ და 45 წუთში სამჯერ დაბომბეს ჩვენი კარი. ასე რომ, წინ მხიარული და კარგი სეზონი გველოდება", — განაცხადა კარეუმ.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ცოტა ხნის წინ ნორვეგიელ თავდამსხმელს თავისთან გადასვლა ლისაბონის „სპორტინგმა" შესთავაზა, რომელმაც თავის მხრივ კრისტიანო რონალდო, კვარესმა და ჟარდელი გაყიდა, რითაც თავდასხმის ხაზი მნიშვნელოვნად დაისუსტა. გარდა ამისა, პორტუგალიელებს ორი ფორვარდი (მარიუს ნიკულაე, ელპიდიუ სილვა) დაშავებული ჰყავდათ და კარეუსის ძალიან ეიმედებოდთ. თუმცა ამ უკანასკნელს ლისაბონელთა წინადადება სასაცილოდაც არ ეყო. ვინ იცის, ეგებ იმ დროისთვის უკვე „სტადიო ოლიმპიკო" ელანდებოდა.

**გიორგი ძაძამიძე**



იონ კარეუ


**სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"**

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- ნარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

**ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21**

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

# შევა გაძველბიჭდა

*„სიცოცხლე მშვენიერია“ — ასე დაასათაურა „გაძეტა დელო სპორტმა“ შევჩენკოსადმი მიძღვნილი წერილი ზაფხულის ბოლო დღეს. უკრაინელმა „ანკონასთან“ დუბლი მიითვალა, „მილანის“ ქომაგებს ძველი შევჩენკო აჩვენა და დაარწმუნა, რომ „შავი ზოლი“ დასრულდა...*



პირველი მილანური სეზონი უკრაინელისთვის ტრიუმფალური გამოდგა. მყისვე შეეგუა მთავარ სერიას და ჩემპიონატის ბომბარდირიც გახდა.

მომდევნო წელს ბრწყინვალება შედარებით სუსტი იყო, თუმც გოლების რაოდენობა კვლავ 24.

მესამე სეზონი გახლდათ ნაბიჯი უკან, ოდენ 14 გოლი, რაც სუბიექტურმა და ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა. მეოთხე ტრავმებმა და სათადარიგოთა სკამმა წაიღო. ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ჩნდებოდა და ერთი ხანობა, თითქოს გაყიდვაც დაუპირეს.

ჩემპიონთა ლიგისკენ მიმავალ გზაზე შევჩენკომ მილანელების გული ისევ მოიგო. მეოთხედფინალში „აიაქსს“ გაუტანა, ნახევარფინალში „ინტერს“, ფინალში კი გადამწყვეტი პენალტიც ფრიადზე შეასრულა.

წინა კვირას „მილანმა“ შევჩენკოს წყალობით „პორტუს“ სძლია და ევროპის სუპერთასიც მოიგო, „ანკონასთან“ კი ორიდან ერთი გოლი საჯარიმო დარტყმით გაიტანა, რაც ბოლო სამი წლის განმავლობაში არ გაუკეთებია.

საკმაოდ გაწელილი შესვენების შემდეგ უკრაინელი ძველებურად ათამაშდა. იმ ძველ ბიჭს დაემსგავსა, გზად მცველებს იოლად რომ უსწორდებოდა და კარში ბურთს ნებისმიერი პოზიციიდან ზუსტად ურტყამდა.

ამ დღეებში ანდრეი შევჩენკოს მილანელების ყურადღება არ აკლია და იშტაზე მოსული ფორვარდიც ხალისით ალაპარაკდა. პრესაში გამოქვეყნებული მისი გამონათქვამებიდან რამდენიმეს გთავაზობთ.

...„მონტე კარლოში სუპერთასის მოგების შემდეგ ზოგიერთებმა ბედის ნებიერად შემრაცხა. ვფიქრობ, ეს ბრიყვების აზრია. თითქოს მე ყოველთვის მიმართლებს, რადგან ჩემპიონთა თასის ფინალშიც და „პორტუსთანაც“ გადამწყვეტი გოლები გავიტანე. იღბლიანი ვარ? როგორ გეკადრებათ! ყოველდღე ტყავის გაძრობამდე ვვარჯიშობ, ცხრაპირ ოფლს ვიღვრ, ტრავმებს ვებრძვი, საჭირო დროს ფორმაში შევდივარ და განა ეს ყველაფერი შემთხვევით ხდება? ამბობენ რამდენიმე გადამწყვეტ გოლსაც თუ გავიტან, შესაძლოა, „ოქროს ბურთი“ მერგოს. ჯილდოები ამჟამად არ მაღელვებს, ფეხბურთის თამაშით, „მილანის“ გამარჯვებით ვტკბები. იმ გუნდში ვარ, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანია. ხუთი წლის წინ ეს ჩემთვის ოცნება იყო. ახლა კი რეალობაა“.

„...ისეთი დღე, როგორიც მანჩესტერში (სადაც ჩემპიონთა თასის ფინალი გაიმართა) იყო, არასოდეს განმეორდება. მჯერა, რომ „მილანი“ ახალ გამარჯვებებს იზეიმებს. ერთი წლის წინ მოედანს სათადარიგოთა სკამიდან ვუყურებდი, ახლა კი მოვლენების ცენტრში ვარ. ყოველ წამს შეიძლება ნებისმიერი ფეხბურთელის კარიერა უკეთესობისკენ ან უარესობისკენ შეიცვალოს. ერთი, მთავარი მატჩის მოგება მთელი წლის შრომის შედეგია და იოლად არ მიიღწევა. მილანი იმიტომ იმარჯვებს, რომ ჩვენ ყველანი ერთი იდეით ვართ შეპყრობილი და ნებისმიერი გადამწყვეტი თამაშის წინ საკუთარ თავს ფსიქოლოგიურად ვამზადებთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩვენ ვხედავთ ტუზს

იტალიაში, სერია B-ს კლუბთა პრეზიდენტებმა, ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტის, ფრანკო კარაროს თანამდებობიდან გაშვება მოითხოვეს. ისინი ჩემპიონატის ხელახალი გადადებითაც იმუქრებიან. ეს ამბავი იტალიის საფეხბურთო ლიგის კრებაზე მოხდა. ზემოთხსენებული პრეზიდენტები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ სერია B-ში გუნდების რაოდენობა 24-მდე გაზარდეს.

„კალიარის“ პრეზიდენტი, მასიმო ჩელინო: „კარარო მიულებელი ადამიანია. იგი ბანქოს იმ მოთამაშეს ჰგავს, რომელსაც სახელოებში ტუზები აქვს ჩამალული“.

საფეხბურთო ლიგა იტალიის ორი უმაღლესი ჯგუფის გაერთიანება გახლავთ. მოგეხსენებათ, გასულ უქმეებზე სერია A-მ ჩემპიონატი დაიწყო, სერია B-მ კი ბოიკოტი გამოაცხადა. ახლა ხელმეორე ბოიკოტზეა ლაპარაკი.

თუმცა, მანამდე ლიგის პრეზიდენტი, ადრიანო გალიანი ასე აცხადებდა:

„კვირას ჩემპიონატს უეჭველად დავიწყებთ. გადადება შეუძლებელია“.

რატომ იყო გალიანი ასე დარწმუნებული, რომ სერია B ამოქმედდებოდა? იმიტომ, რომ თავისი პროექტის იმედი ჰქონდა. იგი ამბობდა, რომ სერია B-დან სერია A-ში ოთხის ნაცვლად ხუთი გუნდი უნდა ავიდეს, ხოლო პირიქით, ზემოდან ქვემოთ უნდა ჩავიდეს მხოლოდ სამი, რის შედეგადაც, სერია A-ში 20 გუნდს მიიღებდა, ხოლო სერია B-ში 22-ს.

„გალიანის პროექტზე ლაპარაკი შეიძლება, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სერია B-დან სერია A-ში ხუთი კი არა, ექვსი გუნდი ავა“ — განაცხადა „ბარის“ პრეზიდენტმა ვინჩენცო მატარეზემ.

„ატალანტას“ პრეზიდენტი, ივან რუჯერი კი ასე ფიქრობს:

„სირთულე კადრები და მეთოდებია. ამ ფედერაციასთან ვერავინ ითანამშრომლებს“.

**ბაპუნა ძიძია**



ადრიონო გალიანი

# ვეა შეთქმულების მოთავეა
## ლიბერიელი ლიბერიას საამიროებში გაექცა

*ერთი კვირის წინ „მილანმა“ ჟორჟ ვეასთან კონტრაქტი გააფორმა. არა, ეს ის ვეა არაა 1995 წელს ევროპამ რომ აღიარა, „მილანში“ მისი 16 წლის შვილი გადავიდა და „შავწითელთა“ ახალგაზრდულ გუნდში ჩაირიცხა. თავად დიდი ჟორჟი არაბეთშია და ჟურნალ **FOUR FOUR TWO**-ს კორესპონდენტმა იქ მოიხელთა*



— კაცი, რომელსაც ევროპა თავის დროზე ფეხქვეშ გაეგო, ამ ქვეყანაში როგორ მოხვდა?

— საამიროს დახასიათებისას აშკარად ცდებით. დედამიწაზე რამდენიმე სამოთხე თუ არსებობს, ერთ-ერთი აქ არის. გულშემატკივრების ყურადღების ცენტრში კვლავაც ვარ, მაგრამ ისეთ ზეწოლას აღარ განვიცდი, როგორიც ევროპაში იყო. ბევრ კონტინენტზე არაერთი გუნდი გამოვიცვალე და სადაც მივედი, ყველგან დაუყოვნებლივ შედეგს მთხოვდნენ. ჩემს მოვალეობას როცა ვერ ვასრულებდი, წარუმატებლობას მხოლოდ მე მაბრალებდნენ. ახლა, „ალ ჯაზირაში“ ვთამაშობ და ფეხბურთისგან სიამოვნებას ვიღებ.

**— ამბობენ, აზიაში ცნობილი ფეხბურთელები მუქთა ფულის მოსახვეჭად მიდიანო...**

— მე ასე არ ვფიქრობ. მთავარი ჩემთვის ფეხბურთია, რომელმაც მომცა ყველაფერი, რაც ამჟამად გამაჩნია. ამიტომ მოვალეობის მოხდის მიზნით და ოდენ ჯამაგირის ასაღებად არასოდეს მითამაშია. გულის ცემას მივაყურადებ და როცა ბურთაობას ველარ შევძლებ, ბუცებს ლურსმანზე დავკიდებ. ჯერჯერობით გამარჯვების წყურვილი კვლავ სისხლში მაქვს. მწვრთნელი, თანაგუნდელები და გულშემატკივრები ჩემით კმაყოფილნი არიან, ასე რომ, კარიერა არ დამისრულებია, მხოლოდ ევროპიდან წამოვედი.

— ლიბერიში დაბრუნებას როდის აპირებთ?

— შეიძლება ოდესღაც ლიბერიის ნაკრების მწვრთნელობამ მომიწიოს, მაგრამ ეს მაშინ მოხდება, როცა ქვეყანაში მთავრობა შეიცვლება. ამჟამად საკუთარ სამშობლოში შესვლა ხელისუფლებამ ამიკრძალა. ისინი გულზე არ მეხატებიან და მტრული ურთიერთობა გვაქვს.

— გაუგებარია, როგორ გაგაძევეს იმ ქვეყნიდან, რომელიც მსოფლიოში თქვენს სახელთან ასოცირდება?

— ლიბერიულ ფეხბურთს ყოველმხრივ ვეხმარებოდი, მაგრამ მივხვდი, მთავრობას სპორტი ფეხებზე ეკიდა და განვაცხადე, რომ მათი უმოქმედობა ყელში ამოვიდა. მარტო კაცისთვის ჯავშნის ნგრევა შიშველი ხელით ხომ წარმოგიდგენიათ, რაოდენ რთულია? სწორედ ასეთ ვითარებაში აღმოვჩნდი. მთავრობამ ჩემი უარი სხვანაირად, სათავისოდ „მოხარშა“. თითქოს ფიფასთან და გაეროსთან ერთად მე ხელისუფლების მოსაშორებლად შეთქმულებას ვამზადებდი. ისიც კი დამწამეს, რომ ჟორჟ ვეას ნაკრების წარმატებით გამოსვლა არ სურს, რადგან ეს ქვეყნის მმართველ პარტიას წაადგებოდაო. მერე ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიყავი ამასობაში ლიბერიის მთავრობამ ამერიკაში ჩემი ვიზიტი იქაურ კონგრესმენებთან საიდუმლო შეხვედრად მონათლა, არადა, მხოლოდ ოჯახის წევრების სანახავად წავედი.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლიბერია დავივიწყე. ყველა მეგობარი და ნათესავი ძალიან მომენატრა. როცა ნაკრებს ვთავკაცობდი, ყველა საკითხი ფრიადზე მქონდა მოგვარებული. გუნდს მორალური და ფინანსური მხარდაჭერა არ აკლდა. რას აკეთებდა ამ დროს ხელისუფლება; აფრიკის ერთა თასზე გამოსასვლელად თითოეული ფეხბურთელისთვის მხოლოდ 600 გირვანქა გამეტეს. ეს ხომ დაცინვაა! მსოფლიოს ჩარჩანდელ ჩემპიონატზე გასვლისთვის კი საერთოდ არაფერს შეგვპირდნენ, მადლობისთვის ითამაშეთო, უთხრეს ბიჭებს. ისეთ ღარიბ ქვეყანაში, როგორიც ლიბერიაა, ფინანსური მოტივაცია ბევრს ნიშნავს.

**— კარიერის დასრულების შემდეგ საქმიანობას სად აპირებთ?**

— ჯერ არ მიფიქრია. UNICEF-თან ვთანამშრომლობ და ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდება. გარდა ამისა, შეიძლება ადგილი აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციაშიც გამომიჩნდეს. შესაძლოა რომელიმე აფრიკული ქვეყნის ნაკრების მწვრთნელობას დავთანხმდე და თუ ეს მოხდა, მაშინ კი ნამდვილად დავუმტკიცებ ლიბერიის ამჟამინდელ მთავრობას, რომ ჟორჟ ვეა ყოველთვის მართალი კაცი იყო.

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები

## გარი ლინეკერი

# ვიღაც მოვა და ნიღაბს ჩამოხსნის

*ბობი ჩარლტონმა ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში 47 გოლი გაიტანა. გარი ლინეკერმა 46. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ კიდევ ერთი გოლით ლეგენდას უტოლდებოდა, მეორეთი კი თვალუწვდენელ სიმაღლეებს მიაღწევდა, მაგრამ აი, რა მოხდა: 1992 წელს, ევროპის ჩემპიონატზე, ინგლისი ტურნირის მასპინძელს, შვედეთს შეხვდა, თუმცა მეორე ტაიმის შუაში მწვრთნელმა, გრემ ტეილორმა ლინეკერი მოედნიდან გაიყვანა. ეს გადამწყვეტი გამოდგა, ვინაიდან ლინეკერი, რომელიც იმ შეჯიბრებაში გოლებით თუ ვერა, საგოლე სიტუაციების შექმნით და პასებით გამოირჩეოდა, თავისი გუნდისთვის საგანგებო მნიშვნელობის ვარსკვლავი გახლდათ. ლინეკერი მოედნიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა, ხოლო 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ჯიმი გრივსმა ტეილორის ამ საქციელს მისი კარიერის ყველაზე უხეში შეცდომა უწოდა*







გარის ფარი სიტყვა და გოლია

„არიან ფეხბურთელები, რომლებსაც საშინელი უიღბლობის დროსაც შეუძლიათ გოლის გატანა, ლინეკერი ასეთი იყო“ — განმარტა ვეტერანთ ვეტერანმა.

და დარჩა ინგლისის ნაკრების ისტორიაში ყველაზე უხვგოლიან თავდამსხმელად სერ ბობი ჩარლტონი, გარი ლინეკერი კი BBC-ში ტელეწამყვანად მოეწყო და უნდა გითხრათ, რომ ფრიად მოსწრებული სიტყვის კაციც გამოდგა. მასთან სტუდიაში მოხვედრა ბარე ორი ცნობილი ადამიანისთვისაც დიდი პატივია.

რაც შეეხება სერ ბობის რეკორდს:

„ვნანობ თუ არა სერ ბობი ჩარლტონის რეკორდი რომ არ მოვხსენი? არა, ვინც ასე ფიქრობს, ცდება. მე დღემდე არ მჯერა, რომ თვით ჩარლტონის შედეგს მივუახლოვდი. აბა, მე ვინ ვარ მასთან შედარებით?“ — ამბობს ის.

ერთი სიტყვით, გარი ლინეკერი სხარტი სიტყვითა და მოკრძალებითაც ვარსკვლავი გამოდგა. თავად განსაჯეთ, როგორი პასუხია მის გამორჩეულობასთან დაკავშირებულ დაუსრულებელ კითხვებსა და კომენტარებზე:

„დღემდე არ მშორდება გრძნობა, რომ ვიღაც მოვა და ნიღაბს ჩამომხსნის“.

თუმცა იმ ადამიანებისთვის, ვინც მოკრძალებასთან მწყრალად არიან, ეს ყველაფერი გაუგებარია და ვინაიდან ჩვენში უმეტესობა „ყველას სჯობია“, ლინეკერის ამ მხარეზე ნულარაფერს ვიტყვით.

ისე კი, ლინეკერს ეკუთვნის ცნობილი სიტყვებიც:

„ფეხბურთი მარტივი თამაშია, რომელიც 90 წუთს გრძელდება და გერმანელების გამარჯვებით მთავრდება“.

მაგრამ, სანამ ამ სიტყვებს იტყოდა, გარი ლინეკერი დაიბადა და ეს 1960 წლის 30 ნოემბერს, ლესტერში ჩაიდინა. მამამისი ბოსტნეულით ვაჭრობდა. ხუთი წლიდან გარიმაც მოკიდა ტვირთს ხელი, მაგრამ განგებას გარიზე სხვა გეგმა ჰქონდა მოფიქრებული. ეს გაჩხინკული, კაფანდარა ბიჭუნა სპორტულმა ცხოვრებამ, ვარჯიშმა და ამ ვარჯიშებს თანმდევმა დასაბუთებულ-ნაანგარიშევმა კვებამ ძლიერ მამაკაცად ჩამოაყალიბა. საუკეთესო ფორმაში ყოფნისას 177 სანტიმენტრიანი ლინეკერი 79 კილოს იწონიდა.

19 წლის გარიმ პირველად ითამაშა „ლესტერის“ ძირითად შემადგენლობაში.

„საკუთარი თავის რწმენა ყოველთვის მაკლდა“ — იგონებს ფორვარდი, რომელიც ნაკრებში პირველად 1984 წელს გამოიძახეს.

„კინაღამ გული გამისკდა, ვინ ვიყავი მე ნაკრების ფეხბურთელებთან შედარებით? — ისევ ეს წყეული არასრულფასოვნების კომპლექსი — და შეკრებაზე რომ ჩავედი, თავი უარესად ვიგრძენი“.

იმხანად ინგლისის ნაკრებს ბრძენი ბობი რობსონი ედგა სათავეში — დღევანდელი „ნიუკასლის“ მწვრთნელი, რომელმაც ფერწასულ თავდამსხმელს შეხედა და მიხვდა, რომ იმ თამაშში მისი მოედანზე გაყვანა არაფრით არ შეიძლებოდა.

მართლაც, გარი ლინეკერმა ეროვნულ გუნდში პირველად სამი კვირის შემდეგ, შოტლანდიასთან ითამაშა, პირველ შეკრებაზე კი უბრალოდ იგრძნო, რომ ვიღაც ბიჭი აღარ იყო.



გარი ლინეკერი და მსოფლიოს უპირველესი მოკრივე ლენოქს ლუისი საუკეთესო მეგობრები არიან

იმ სეზონში გახარებულმა ლინეკერმა 28 გოლი გაიტანა და „ჩელსის“ ფორვარდ კერი დიქსონთან ერთად ბომბარდირი გახდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის „ლესტერში“ ვეღარ ჩაეტეოდა და ასეც მოხდა, თავდამსხმელი 800 ათასი გირვანქის სანაცვლოდ „ევერტონმა“ შეიძინა.

1985-86 წლების სეზონში გარიმ გაიბრწყინა. „გუდისონ პარკზე“ კერპი გამოჩნდა. 30 გოლის ავტორი და ყოველგვარი დიქსონის გარეშე. ერთპიროვნული ბომბარდირი სრულიად ინგლისისა. იგი ჟურნალისტებმაც და ფეხბურთელებმაც საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, თუმც... „ევერტონს“ ჩემპიონატის საბოლოო ცხრილში სამი ქულით „ლივერპულმა“ გაუსწრო.

მაგრამ წინ იყო მექსიკა 86, დიდი მუნდიალი, რომელიც ლინეკერმა ხელმოტეხილმა, თაბაშირისმაგიერ სპეცბანდაჟში ხელგაყრილმა ჩაატარა.

ჩემპიონატი გარიმ ჩინებულად განვლო, პოლონეთთან ჰეთთრიქიც შეასრულა, მაგრამ მეოთხედფინალში დიდი მარადონას დრიბლინგს და „ღვთის ხელს“ ვერაფერი დაუპირისპირა — ინგლისი გავარდა. თუმცა ფორვარდი, წლის ბოლოს, „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვით, იგორ ბელანოვის შემდეგ, მეორე ადგილზე გავიდა.

იმ დროისთვის, ანუ წლის ბოლოსთვის, ლინეკერი უკვე ბარსელონელი იყო — კატალონიელებმა მასში ექვსი მილიონი დოლარი გადაიხადეს.

„ბარსა“ და ლინეკერი მუხლის ტრავმამდე, კარგად მიდიოდნენ ერთად. მუხლის ტრავმის შემდეგ, ლინეკერს ოპერაცია და დასვენება დასჭირდა, რამაც, ბუნებრივია, ფორმიდან ამოაგდო და ყველაფერთან ერთად, ისიც სათქმელია, რომ ის წლები „რეალის“ უპირატესობისა გახლდათ.

მაინც, გარი ლინეკერი დიდი ვარსკვლავი იყო (მიუხედავად იმისა, რომ 1986-ში ბელანოვი აჯობინეს) და მიუხედავად იმისა, რომ „ბარსას“ ახალ მწვრთნელს, ტერი ვენეიბლზის შემცვლელ იოჰან კრუიფს თვალში აშკარად არ მოუვიდა, 89-ში თასების თასის მოგებაში შეიტანა თავისი წვლილი.

ამ დროისთვის ვენეიბლზი „ტოტენჰემშია“ და გარის ისევ თავისთან, ამჯერად ლონდონში ეძახის.

„მე და ჩემი მეუღლე მიშელი თბილად ვიგონებთ კატალონიაში გატარებულ დროს“ — ამბობდა შემდეგ ლინეკერი, „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი.

1989-90 წლების სეზონში გარი ისევ ბომბარდირია, ხოლო ნაკრები, რომელსაც ევრო 88 ჩაუვარდა, მისი დიდი შეწევნით მსოფლიოს ჩემპიონატისკენ იკაფავს გზას.

იტალია 90! ბობი რობსონის ბოლო ნაკრები! მშვენიერი, ლამაზად სანახავი ინგლისი და ჩინებული, საყოველთაოდ საყვარელი გარი ლინეკერი!

ნაკრები ნახევარფინალში გერმანელებთან პენალტებით დამარცხდა. მესამე ადგილისთვის მატჩი იტალიასთან? ვიღას ახსოვს, როგორ დასრულდა.

შემდეგ იყო იაპონური კლუბი „ნაგოია გრამპუს ეითი“, რომელმაც მასში 1992 წელს 900 ათასი გირვანქა გადაიხადა, მაგრამ ეს უკვე მას მერე იყო, რაც...

„არიან ფეხბურთელები, რომლებსაც საშინელი უიღბლობის დროსაც შეუძლიათ გოლის გატანა, ლინეკერი ასეთი იყო“ — თქვა მაშინ ჯიმი გრივსმა.

**ბაპუნა ძიდია**



# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

**ინგლისი. I დივიზიონი. VI ტური**

**6 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 002 | ჯილინგემი-მილუოლი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 005 | სტოუკი-ბარნსლი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |

**ინგლისი. II დივიზიონი. VI ტური**

**6 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.05 | 008 | ბორნმუთი-ბრისტოლი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 009 | ბრენტფორდი-პლიმუთი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.00 | 010 | ბრაიტონი-სუინდონი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 011 | ჩესტერფილდი-ბარნსლი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 19.00 | 012 | კოლჩესტერი-ქუინს პარკი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 19.00 | 013 | გრიმსბი-პიტერბრო | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 014 | პარტლპული-ოლდემი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 015 | ნოტსი-ლუტონი | 2,7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | 1,37 |
| 19.00 | 016 | რაშდენი-უიკომბი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 017 | უენსლი-ტრანმერი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 018 | სტოკპორტი-პორტ ვეილი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |

**ინგლისი. III დივიზიონი. VI ტური**

**6 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 024 | იოვილი-სუონსი | 2,3 | 3,3 | 2,7 | 1,35 | 1,24 | 1,48 |
| 19.00 | 025 | ბოსტონი-სკანთორპი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 026 | როვერსი-კიდერმინსტერი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 19.00 | 027 | ბერი-ჰადერსფილდი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 19.00 | 028 | დარლინგტონი-კარლაილი | 1,8 | 3,4 | 3,6 | 1,17 | 1,19 | 1,74 |
| 19.00 | 029 | მენსფილდი-მაკლსფილდი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 19.00 | 030 | ოქსფორდი-საუთენდი | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1,09 | 1,21 | 2,05 |
| 19.00 | 031 | ტორკი-ლეიტონი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 19.00 | 032 | იორკი-როჩდეილი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |

**8 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 033 | დონკასტერი-ჰალი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |

**ინგლისი**

**კონფერენსი. VII ტური**

**6 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 037 | ბარნეტი-აკრინგტონი | 1,75 | 3,4 | 4,0 | 1,15 | 1,21 | 1,83 |
| 19.00 | 038 | ბარტონი-უოკინგი | 2,3 | 3,4 | 2,6 | 1,37 | 1,22 | 1,47 |
| 19.00 | 039 | დაგ ენდ რედი-ტელფორდი | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,65 |
| 19.00 | 040 | ექსეტერი-სტივენეიჯი | 2,35 | 3,3 | 2,6 | 1,37 | 1,23 | 1,45 |
| 19.00 | 041 | ფარნბორო-ჰერეფორდი | 3,5 | 3,4 | 1,85 | 1,72 | 1,21 | 1,19 |
| 19.00 | 042 | ჰალიფაქსი-ნორთვიჩი | 1,75 | 3,4 | 4,0 | 1,15 | 1,21 | 1,83 |
| 19.00 | 043 | ლეი-ფორესტ გრინი | 1,9 | 3,4 | 3,4 | 1,21 | 1,21 | 1,7 |
| 19.00 | 044 | მარგეიტი-ჩესტერი | 3,3 | 3,3 | 2,0 | 1,65 | 1,24 | 1,24 |
| 19.00 | 045 | მორიკომბი-ალდერშოტი | 2,15 | 3,4 | 2,9 | 1,31 | 1,23 | 1,56 |
| 19.00 | 046 | სკარბორო-გრეივსენდი | 1,8 | 3,4 | 3,6 | 1,17 | 1,19 | 1,74 |

**7 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 047 | შრიუსბერი-ტემუორთი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |

**შოტლანდია. III დივიზიონი. V ტური**

**6 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 051 | ალბიონი-ელგინი | 1,65 | 3,6 | 4,2 | 1,13 | 1,18 | 1,93 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). VI ტური**

**6 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 052 | კილი-ზტ.პაული | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 17.00 | 053 | ვუპერტალი-მიუნსტერი | 1,6 | 3,5 | 4,8 | 1,09 | 1,2 | 2,02 |
| 17.00 | 054 | პადერბორნი-ურდინგენი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |

**7 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 055 | ლაიპციგი-კიოლნი(მ) | 2,25 | 3,3 | 2,7 | 1,33 | 1,22 | 1,48 |
| 17.00 | 056 | დორტმუნდი(მ)-ვერდერი(მ) | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| 17.00 | 057 | ჰამბურგი(მ)-დინამო | 2,3 | 3,3 | 2,6 | 1,35 | 1,22 | 1,45 |
| 17.00 | 058 | ქემნიცი-ბრაუნშვაიგი | 2,3 | 3,3 | 2,6 | 1,35 | 1,22 | 1,45 |
| 18.00 | 059 | შალკე(მ)-ნოიმიუნსტერი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| 21.00 | 060 | ესენი-ვატენშაიდი | 1,95 | 3,3 | 3,3 | 1,22 | 1,22 | 1,65 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (სამხრეთი). VI ტური**

**5 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 068 | ზაარბრიუკენი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,08 | 1,18 | 2,09 |

**6 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 069 | აალენი-კიკერსი | 2,05 | 3,3 | 3,1 | 1,26 | 1,23 | 1,59 |
| 17.30 | 070 | შვაინფურტი-ოფენბახი | 2,9 | 3,3 | 2,15 | 1,54 | 1,23 | 1,3 |
| 17.30 | 071 | ვეენი-ელვერსბერგი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 17.30 | 072 | მაინცი(მ)-აუგსბურგი | 2,9 | 3,3 | 2,15 | 1,54 | 1,23 | 1,3 |
| 17.30 | 073 | შტუტგარტი(მ)-ჰოფენჰაიმი | 1,95 | 3,3 | 3,3 | 1,22 | 1,22 | 1,65 |
| 17.30 | 074 | ფულენდორფი-ფოიხტი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |

**7 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 075 | ერფურტი-ეშბორნი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 18.00 | 076 | ბაიერნი(მ)-ზიგენი | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,08 | 1,18 | 2,09 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. II ტური**

**6 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 132 | ლევანტე-ელჩე | 1,8 | 2,9 | 4,4 | 1,11 | 1,27 | 1,74 |
| 22.00 | 133 | სერესი-რაიო | 2,35 | 2,8 | 3,0 | 1,27 | 1,31 | 1,44 |
| 23.00 | 134 | ლას პალმასი-ლეგანესი | 1,75 | 3,0 | 4,6 | 1,1 | 1,26 | 1,81 |

**7 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14.30 | 135 | ხეტაფე-ალმერია | 2,0 | 2,8 | 3,8 | 1,16 | 1,31 | 1,61 |
| 15.00 | 136 | ალავესი-სპორტინგი | 1,9 | 2,9 | 4,0 | 1,14 | 1,28 | 1,68 |
| 21.00 | 137 | ეხიდო-ტერასა | 2,15 | 2,8 | 3,4 | 1,21 | 1,31 | 1,53 |
| 21.00 | 138 | მალაგა(ბ)-კადისი | 2,2 | 2,8 | 3,5 | 1,23 | 1,35 | 1,55 |
| 21.00 | 139 | ალხესირასი-ტენერიფე | 2,6 | 2,8 | 2,6 | 1,34 | 1,3 | 1,34 |
| 21.00 | 140 | სალამანკა-ნუმანსია | 2,0 | 2,8 | 3,8 | 1,16 | 1,31 | 1,61 |
| 22.00 | 141 | კორდობა-სიუდადი | 1,95 | 2,8 | 4,0 | 1,14 | 1,31 | 1,64 |
| 23.00 | 142 | უელვა-ეიბარი | 1,8 | 2,8 | 4,6 | 1,09 | 1,29 | 1,74 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. VII ტური**

**5 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 147 | ანჟე-ტრუა | 2,8 | 2,7 | 2,6 | 1,37 | 1,34 | 1,32 |
| 23.00 | 148 | შატორუ-კრეტეი | 1,85 | 2,8 | 4,6 | 1,11 | 1,31 | 1,74 |
| 23.00 | 149 | გენიონი-რუანი | 2,1 | 2,7 | 3,8 | 1,18 | 1,35 | 1,57 |
| 23.00 | 150 | ისტრი-კლერმონი | 1,8 | 2,8 | 4,8 | 1,09 | 1,3 | 1,76 |
| 23.00 | 151 | ლე ავრი-ბეზანსონი | 1,7 | 2,9 | 5,6 | 1,07 | 1,3 | 1,91 |
| 23.00 | 152 | ლორიანი-ამიენი | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |
| 23.00 | 153 | ნანსი-სედანი | 2,2 | 2,7 | 3,5 | 1,21 | 1,35 | 1,52 |
| 23.00 | 154 | ნიორი-კაენი | 1,8 | 2,7 | 5,0 | 1,08 | 1,32 | 1,75 |
| 23.00 | 155 | სტ.ეტიენი-ვალანსი | 1,7 | 2,9 | 5,6 | 1,07 | 1,3 | 1,91 |

**პორტუგალია**

**სუპერლიგა. I ტური**

**7 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 159 | ბელენენსეში-ამადორა | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |

**პორტუგალია. II ლიგა. I ტური**

**7 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 164 | ფელგეირაში-სალგეიროში | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,36 | 1,25 | 1,36 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. V ტური**

**5 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 166 | დორდრეხტი-კამბური | 2,1 | 3,5 | 2,8 | 1,31 | 1,19 | 1,55 |
| 23.00 | 167 | ტელსტარი-ჰერაკლესი | 2,5 | 3,5 | 2,25 | 1,45 | 1,18 | 1,36 |
| 23.00 | 169 | სპარტა-ჰაარლემი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| 23.00 | 170 | ვენლო-ეინდჰოვენი | 1,65 | 3,6 | 4,2 | 1,13 | 1,18 | 1,93 |
| 23.00 | 171 | ოსი-მაასტრიხტი | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,08 | 1,18 | 2,09 |
| 23.00 | 173 | იგლსი-ვეენდამი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 23.00 | 174 | ჰელმონდი-გრააფსხაპი | 2,05 | 3,5 | 2,9 | 1,29 | 1,2 | 1,58 |

**ბელგია.**

**II კლასი. IV ტური**

**6 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.15 | 178 | ვისეტი-ვირტონი | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,41 | 1,24 | 1,35 |
| 22.30 | 179 | გეელი-ეუპენი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 23.00 | 180 | ბრიუსელი-დაინცე | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 23.00 | 181 | ტუბეკე-რონსე | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 23.00 | 182 | რუსელარე-სპორტინგი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 23.00 | 183 | ოსტენდე-დენდერლეუ | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |

**7 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 184 | ვიგორი-ლესელი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 18.00 | 185 | აალსტი-ტინენი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 18.00 | 186 | ვარეგემი-პატრო | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა. VIII ტური**

**5 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 197 | შაფჰაუზენი-შო დე ფონი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 22.30 | 198 | კრინსი-ვოლენი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |

**6 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 199 | კონკორდია-ივერდონი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 20.30 | 200 | ბულე-ლუცერნი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| 20.30 | 201 | დელემონი-ანიო | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 22.30 | 202 | მეირინი-ვინტერთური | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 22.30 | 203 | კიასო-ბადენი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |

**დანია**

**I დივიზიონი. VIII ტური**

**6 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 206 | ფკ ორჰუსი-სილკებორგი | 5,3 | 4,4 | 1,4 | 2,4 | 1,1 | 1,06 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. სუპერეტა. XXIII ტური** | | | | | | |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 210 | ბოდენსი-ტრელებორგი | 2,6 | 3,5 | 2,2 | 1,49 | 1,19 | 1,35 |
| 21.00 | 211 | ფალკენბერგი-ნორჩიოპინგი | 2,4 | 3,4 | 2,2 | 1,4 | 1,14 | 1,33 |
| 21.00 | 212 | ატვიდაბერგი-ბრომაპოიკარნა | 1,85 | 3,4 | 3,4 | 1,19 | 1,19 | 1,7 |
| | | **8 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 213 | სილვია-ოპერა | 3,2 | 3,5 | 1,9 | 1,67 | 1,19 | 1,23 |
| 22.00 | 214 | ვესტეროსი-ფორვარდი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 22.00 | 215 | იფკ მალმიო-კალმარი | 3,2 | 3,5 | 1,9 | 1,67 | 1,19 | 1,23 |
| | | **ნორვეგია** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი. XXII ტური** | | | | | | |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 219 | მოსი-ოსლო იოსტი | 1,65 | 3,6 | 4,2 | 1,13 | 1,18 | 1,93 |
| 19.00 | 220 | პიონეფოსი-რაუფოსი | 1,9 | 3,6 | 3,1 | 1,24 | 1,17 | 1,66 |
| 19.00 | 221 | ჰამარი-ჰიოდი | 1,4 | 4,2 | 6,0 | 1,04 | 1,13 | 2,47 |
| 19.00 | 222 | სტარტი-იორნი | 1,45 | 4,4 | 5,0 | 1,09 | 1,12 | 2,34 |
| 19.00 | 223 | ალტა-მანდალი | 3,5 | 4,0 | 1,7 | 1,86 | 1,14 | 1,19 |
| 19.00 | 224 | ჰაუგესუნდი-სანდეფიორდი | 2,3 | 3,6 | 2,4 | 1,4 | 1,17 | 1,44 |
| 19.00 | 225 | სკეიდი-სტრიომსგოდსეტი | 1,85 | 3,8 | 3,1 | 1,24 | 1,15 | 1,7 |
| 19.00 | 226 | ბერუმი-ფრედრიკსტადი | 3,4 | 3,8 | 1,75 | 1,79 | 1,15 | 1,19 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **პრემიერლიგა. XX ტური** | | | | | | |
| | | **5 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 232 | სტ.პატრიკსი-შემროკი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 23.45 | 233 | შელბურნი-დერი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 24.00 | 236 | ლონგფორდი-ბოჰემიანი | 2,7 | 3,0 | 2,4 | 1,42 | 1,27 | 1,33 |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.15 | 234 | უკდ-კორკი | 3,4 | 3,2 | 1,95 | 1,64 | 1,23 | 1,21 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **I ლიგა. VI ტური** | | | | | | |
| | | **5 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 239 | ჟილინა-რუჟომბეროკი | 1,55 | 3,6 | 5,3 | 1,08 | 1,19 | 2,14 |
| | | **ჩილე. კლაუსურა. V ტური** | | | | | | |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 01.00 | 243 | კონსეპსიონი-კოლო კოლო | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,32 | 1,26 | 1,47 |
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | **აპერტურა. VI ტური** | | | | | | |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 01.00 | 244 | ხაგუარესი-პუმასი | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,35 | 1,24 | 1,41 |
| 03.05 | 246 | მორელია-ნეკახა | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 05.00 | 247 | სან ლუისი-ტეკოსი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 06.45 | 248 | ატლასი-მონტერეი | 2,15 | 3,1 | 3,1 | 1,26 | 1,26 | 1,55 |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 250 | პაჩუკა-პუებლა | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 24.00 | 251 | კერეტარო-ჩივასი | 2,8 | 3,2 | 2,15 | 1,49 | 1,21 | 1,28 |
| 22.00 | 252 | ამერიკა-ირაპუატო | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 02.00 | 253 | სანტოსი-ვერაკრუსი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| | | **აშშ. MLS. XXIII ტური** | | | | | | |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 04.30 | 257 | ვაშინგტონი-ლოს ანჯელესი | 2,1 | 3,0 | 3,3 | 1,23 | 1,28 | 1,57 |
| 05.00 | 258 | კანზასი-ნიუ იორკი | 2,3 | 3,0 | 2,9 | 1,3 | 1,28 | 1,47 |
| 06.00 | 259 | კოლორადო-დალასი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 06.00 | 260 | ჩიკაგო-კოლამბუსი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 00.30 | 261 | სან ხოსე-ნიუ ინგლენდი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **ჯეი ლიგა. XIX ტური** | | | | | | |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 11.30 | 264 | ივატა-ჩერეძო | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 15.00 | 265 | გამბა-ურავა | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,41 | 1,24 | 1,35 |
| 15.00 | 266 | კობე-შიმიცუ | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,36 | 1,25 | 1,36 |
| 15.00 | 267 | სენდაი-ნაგოია | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,41 | 1,24 | 1,35 |
| 15.00 | 268 | ვერდი-კიოტო | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 15.00 | 269 | იოკოჰამა-კაშივა | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 15.00 | 270 | იჩიჰარა-კაშიმა | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 15.00 | 271 | ოიტა-ტოკიო | 2,9 | 3,2 | 2,2 | 1,52 | 1,25 | 1,3 |
| | | **ევრო 2004 შესარჩევი მატჩები.** | | | | | | |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 310 | შვედეთი-სან მარინო | 1,01 | 11,0 | 40,0 | 1 | 1 | 8,62 |
| | 311 | შვედეთი-სან მარინო 0:3 | 1,7 | 5,0 | 2,3 | | | |
| 19.00 | 312 | შოტლანდია-ფარერები | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| | 313 | შოტლანდია-ფარერები 0:1 | 1,35 | 3,5 | 5,0 | | | |
| 19.00 | 314 | ანდორა-ხორვატია | 20,0 | 7,0 | 1,1 | 5,18 | 1,04 | 1 |
| | 315 | ანდორა-ხორვატია 1:0 | 5,0 | 3,5 | 1,35 | | | |
| 19.00 | 316 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 20.00 | 317 | ირლანდია-რუსეთი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 20.00 | 318 | საქართველო-ალბანეთი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 20.00 | 319 | ბულგარეთი-ესტონეთი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 320 | ბულგარეთი-ესტონეთი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 20.30 | 321 | ბელარუსი-ჩეხეთი | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |
| | 322 | ბელარუსი-ჩეხეთი 1:0 | 2,7 | 3,2 | 1,9 | | | |
| 21.00 | 323 | სომხეთი-საბერძნეთი | 4,8 | 3,5 | 1,6 | 2,02 | 1,2 | 1,09 |
| 21.15 | 324 | უკრაინა-ჩრდ.ირლანდია | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| | 325 | უკრაინა-ჩრდ.ირლანდია 0:1 | 1,35 | 3,5 | 5,0 | | | |
| 21.30 | 326 | მაკედონია-ინგლისი | 9,0 | 4,6 | 1,3 | 3,04 | 1,13 | 1,01 |
| | 327 | მაკედონია-ინგლისი 1:0 | 3,0 | 3,4 | 1,7 | | | |
| 21.30 | 328 | რუმინეთი-ლუქსემბურგი | 1,01 | 12,5 | 30,0 | 1 | 1 | 8,82 |
| | 329 | რუმინეთი-ლუქსემბურგი 0:3 | 2,0 | 5,0 | 1,9 | | | |
| 22.30 | 330 | ლატვია-პოლონეთი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 22.30 | 331 | ისლანდია-გერმანია | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 23.00 | 332 | ლიხტენშტაინი-თურქეთი | 30,0 | 11,0 | 1,02 | 8,04 | 1 | 1 |
| | 333 | ლიხტენშტაინი-თურქეთი 2:0 | 2,1 | 5,0 | 1,8 | | | |
| 23.15 | 334 | სლოვენია-ისრაელი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 23.15 | 335 | ბოსნია-ნორვეგია | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 23.30 | 336 | ჰოლანდია-ავსტრია | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 337 | ჰოლანდია-ავსტრია 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 23.45 | 338 | საფრანგეთი-კვიპროსი | 1,05 | 9,0 | 25,0 | 1 | 1 | 6,61 |
| | 339 | საფრანგეთი-კვიპროსი 0:2 | 1,65 | 5,0 | 2,4 | | | |
| 23.45 | 340 | იტალია-უელსი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 341 | იტალი-უელსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **მწ შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 24.00 | 370 | არგენტინა-ჩილე | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 371 | არგენტინა-ჩილე 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 02.00 | 372 | ეკვადორი-ვენესუელა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 373 | ეკვადორი-ვენესუელა 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 05.20 | 374 | პერუ-პარაგვაი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 24.00 | 375 | ურუგვაი-ბოლივია | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 376 | ურუგვაი-ბოლივია 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 02.00 | 377 | კოლუმბია-ბრაზილია | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| | | **ამხანაგური მატჩი** | | | | | | |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 01.00 | 378 | პორტუგალია-ესპანეთი | 2,4 | 3,0 | 2,9 | 1,33 | 1,31 | 1,47 |

| | | **კალათბურთი. ევ (შვედეთი)** | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.15 | 1001 | გერმანია-ისრაელი | 1,08 | 15,0 | 5,3 | 1 | 1 | 3,91 |
| | 1002 | გერმანია-ისრაელი | 0:10 | 1,8 | 10,0 | 1,8 | | |
| 21.00 | 1003 | სლოვენია-იტალია | 3,1 | 12,0 | 1,25 | 2,46 | 1 | 1,13 |
| | 1004 | სლოვენია-იტალია | 6:0 | 1,8 | 10,0 | 1,8 | | |
| 21.00 | 1005 | უკრაინა-თურქეთი | 5,0 | 15,0 | 1,1 | 3,75 | 1 | 1,02 |
| | 1006 | უკრაინა-თურქეთი | 10:0 | 1,8 | 10,0 | 1,8 | | |
| 21.00 | 1007 | ლიტვა-ლატვია | 1,1 | 15,0 | 5,0 | 1,02 | 1 | 3,75 |
| | 1008 | ლიტვა-ლატვია | 0:10 | 1,8 | 10,0 | 1,8 | | |
| 21.00 | 1009 | სერბია-რუსეთი | 1,25 | 12,0 | 3,1 | 1,13 | 1 | 2,46 |
| | 1010 | სერბია-რუსეთი | 0:6 | 1,8 | 10,0 | 1,8 | | |
| 24.00 | 1011 | საფრანგეთი-ბოსნია | 1,05 | 15,0 | 6,5 | 1 | 1 | 4,53 |
| | 1012 | საფრანგეთი-ბოსნია | 0:12 | 1,8 | 10,0 | 1,8 | | |
| 24.00 | 1013 | საბერძნეთი-ხორვატია | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| | 1014 | საბერძნეთი-ხორვატია | 0:5 | 1,8 | 10,0 | 1,8 | | |
| 24.00 | 1015 | ესპანეთი-შვედეთი | 1,03 | 15,0 | 8,0 | 1 | 1 | 5,21 |
| | 1016 | ესპანეთი-შვედეთი | 0:14 | 1,8 | 10,0 | 1,8 | | |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **5 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 1026 | ჰანოვერი-ინგოლშტადი | 1,75 | 4,4 | 3,0 | 1,25 | 1,1 | 1,78 |
| 22.30 | 1027 | ნიურნბერგი-კიოლნი | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| 22.30 | 1028 | მანჰაიმ-კასელი | 1,6 | 4,6 | 3,5 | 1,18 | 1,09 | 1,98 |
| 22.30 | 1029 | იზერლონი-ფრანკფურტი | 1,9 | 4,2 | 2,7 | 1,3 | 1,11 | 1,64 |
| 22.30 | 1030 | ჰამბურგი-აუგსბურგი | 1,55 | 4,8 | 3,6 | 1,17 | 1,08 | 2,05 |
| 23.00 | 1031 | აისბარენი-ფრაიბურგი | 1,35 | 4,8 | 5,3 | 1,05 | 1,07 | 2,51 |

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს. (ძირითადი დრო)**
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **6 სექტემბერი** | | |
| 20.00 | 5411 | ირლანდია-რუსეთი | 1,65 | 2,3 |
| 22.30 | 5412 | ლატვია-პოლონეთი | 2,0 | 1,8 |
| 23.15 | 5413 | სლოვენია-ისრაელი | 1,55 | 2,5 |
| 23.45 | 5414 | იტალია-უელსი | 1,2 | 4,0 |
| 05.20 | 5415 | პერუ-პარაგვაი | 1,8 | 2,0 |
| | | **7 სექტემბერი** | | |
| 02.00 | 5416 | კოლუმბია-ბრაზილია | 2,2 | 1,7 |

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)**

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **6 სექტემბერი** | | |
| 20.00 | 5311 | ირლანდია-რუსეთი | 1,7 | 1,9 |
| 22.30 | 5312 | ლატვია-პოლონეთი | 1,7 | 1,9 |
| 23.15 | 5313 | სლოვენია-ისრაელი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 5314 | იტალია-უელსი | 1,95 | 1,65 |
| 05.20 | 5315 | პერუ-პარაგვაი | 1,7 | 1,9 |
| | | **7 სექტემბერი** | | |
| 02.00 | 5316 | კოლუმბია-ბრაზილია | 1,7 | 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | | | | |
| 20.00 | 5111 | ირლანდია-რუსეთი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 22.30 | 5112 | ლატვია-პოლონეთი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 23.15 | 5113 | სლოვენია-ისრაელი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.45 | 5114 | იტალია-უელსი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 05.20 | 5115 | პერუ-პარაგვაი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | | | | |
| 02.00 | 5116 | კოლუმბია-ბრაზილია | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,2 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 6 სექტემბერი | | |
| 20.00 | 5211 | ირლანდია-რუსეთი | 1,8 | 1,8 |
| 22.30 | 5212 | ლატვია-პოლონეთი | 1,8 | 1,8 |
| 23.15 | 5213 | სლოვენია-ისრაელი | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 5214 | იტალია-უელსი | 1,8 | 1,8 |
| 05.20 | 5215 | პერუ-პარაგვაი | 1,8 | 1,8 |
| | | 7 სექტემბერი | | |
| 02.00 | 5216 | კოლუმბია-ბრაზილია | 1,9 | 1,7 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 6 სექტემბერი | | | |
| 20.00 | 5511 | ირლანდია-რუსეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 5512 | ლატვია-პოლონეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.15 | 5513 | სლოვენია-ისრაელი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5514 | იტალია-უელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 05.20 | 5515 | პერუ-პარაგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 7 სექტემბერი | | | |
| 02.00 | 5516 | კოლუმბია-ბრაზილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 20.00 | 5011 | ირლანდია-რუსეთი | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |
| 22.30 | 5012 | ლატვია-პოლონეთი | 3,3 | 2,1 | 2,9 | 1,28 | 1,54 | 1,21 |
| 23.15 | 5013 | სლოვენია-ისრაელი | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 23.45 | 5014 | იტალია-უელსი | 1,65 | 2,6 | 7,0 | 1 | 1,33 | 1,89 |
| 05.20 | 5015 | პერუ-პარაგვაი | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 02.00 | 5016 | კოლუმბია-ბრაზილია | 3,8 | 2,1 | 2,5 | 1,35 | 1,5 | 1,14 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | აღმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | აღმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

## კროკოს დიდუბის ბიურო (წერეთლის გამზირი, კორპუსი № 11) 1 სექტემბრიდან ორშაბათობითაც იმუშავებს



# იქ სიცივეშიც დასცხებათ

## ევროპის ჩემპიონატი იუგოსლავიის და დეიან ბოდიროგას გარეშე

*დღეს შვედეთში ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატი იწყება. ეს ის ტურნირია, რომელზეც შინაურთაგან თუ გარეულთაგან ლამის გენიოსებად შერაცხული ქართველები მინიმუმ კიდევ ოთხი წელი არ ითამაშებენ, რაკი ქართული საკალათბურთო მარცვალი თითქმის ყამირში იზრდება და მიწის გამფხვიერებელი არა ჰყავს. სხვა ყველა ევროქვეყანა კი, რომელსაც ხუთიოდ ხეირიანი მოთამაშე მოუგროვდება, ახლა შვედეთშია*



ფინალების გმირი დეიან ბოდიროგა ნაკრებს დაეთხოვა

ევროჩემპიონატი ძველი ფორმატით ტარდება. ოთხ ჯგუფში გადანაწილებული 16 გუნდი ეცდება, ჯგუფის სამ-სამი თამაშიდან რაც შეიძლება მეტი მოიგოს. ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასული ოთხი გუნდი ავტომატურად გავა მეოთხედფინალში, ხოლო მეორე-მესამე ადგილის დამკავებლებს მეოთხედფინალის საგზურისთვის ერთმანეთთან მოუწევთ შეტოქება.

ევროპის ჩემპიონატზე თამაშდება პირველიდან მერვეს ჩათვლით ადგილები. ტურნირის სამი საუკეთესო გუნდი მოიპოვებს მომავალი წლის ათენის ოლიმპიური თამაშების საგზურს. თუ ამ სამ პრიზიორს შორის მსოფლიოს ჩემპიონი სერბეთი-ჩერნიგორია — მოგეხსენებათ, იუგოსლავიას ახლა ასე მოიხსენიებენ — და ოლიმპიადის მასპინძელი საბერძნეთი მოხვდნენ, ასეთ შემთხვევაში მათი წილი საათენო ბილეთები მეოთხე-მეხუთე ადგილოსნებს შეხვდებათ.

წესით, სამ საუკეთესოს შორის მოხვედრა არ უნდა გაუჭირდეს ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონ სერბეთს, მაგრამ ნიკოს გალისის ეპოქის შემდეგ საშუალოებში ჩამოქვეითებულ ბერძნებს ნახევარფინალში გაძვრომა უდიდეს შრომად დაუჯდებათ, თანაც იღბალმაც უნდა წაჰკრას ზურგზე ხელი.

ცხადია, არც სერბებს აქვთ მედლის ალების გარანტიები, რადგან არ ეყოლებათ ნაკრებიდან წასული გამოცდილი ვარსკვლავები დეიან ბოდიროგა, ვლადე დივაცი და დეიან ტომაშევიჩი. ევროჩემპიონები უამათოდაც ძლიერები არიან, მაგრამ ბოდიროგას გარეშე თავს ძველებურად საიმედოდ ვერ იგრძნობენ.

სამაგიეროდ, ჯანზეა სერბთა ნბაელი მექულე პრედრაგ სტოიაკოვიჩი, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშე. საერთოდ, სერბიას მრავლადა ჰყავს ვარსკვლავები, მაგრამ როგორც ყოველთვის, ახლაც გუნდური თამაშით აპირებს სხვათა დაჯაბნას. იუგოსლავიამ ხომ ყველა სხვა საკალათბურთო ქვეყანაზე უკეთ შეიგნო, რომ კალათბურთი გუნდური თამაშია.

ჩემპიონები ჩემპიონატს ძველი მეტოქის საბჭოთა კავშირის ნაშთ რუსეთთან გახსნიან და ალბათ გაიმარჯვებენ. „ძმძე" რესპუბლიკების გადამტერების და დაკარგვის შემდეგ სერბები უფრო გაიმართნენ წელში, ვიდრე რუსები, ყოველ შემთხვევაში, კალათბურთში მაინც. თუნდაც მხოლოდ ევროჩემპიონატზე სერბებმა ბოლო 12 წელიწადში 4 ოქრო მოიგეს, რუსებმა კი ერთი ფინალი წააგეს და ერთხელაც ბრინჯაო შეხვდათ. ისე, თუკი სიკვდილის ჯგუფი არსებობს, ეს სწორედ სერბებისა და რუსების C ჯგუფია, სადაც მათ გარდა მასპინძელი შვედეთი და მძლავრი ესპანეთია თავისი პაუ გასოლით. არც შვედეთი ჩამოიწერება, სულ სამიოდ დღის წინ მან ტონი პარკერის საფრანგეთს სძლია.

შედარებით იოლი მეტოქეები შეხვდა დირკ ნოვიცკის გერმანიას. ლიტვაც, ლატვიაც და ისრაელიც დღეს მხოლოდ საშუალოები არიან.

ჯგუფური ეტაპის და მეოთხედფინალურ შეხვედრებს მომცრო შვედური ქალაქები უმასპინძლებენ. „დიდი" მატჩები კი დედაქალაქ სტოკჰოლმში გაიმართება, შვედებისთვის საამაყო 14-ათასიან დარბაზში. მასპინძლობის მხრივ ყველაზე ნაკლებკომფორტულ პირობებში A ჯგუფელები არიან. სამხრეთ ევროპის ქვეყნები — იტალია, ბოსნია, სლოვენია და საფრანგეთი კენჭისყრამ ჩრდილოეთ შვედეთში, ლულეოში გადაისროლა. ლულეო კი ძალიან „ზევითაა", ლამის პოლარულ წრესთან და იქ ძალიან, ძალიან ცივა სექტემბერშიც კი.

**ირაკლი ფირაშვილი**

### ევროპის ჩემპიონატების ყველა პრიზიორი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1935 | შვეიცარია | ლატვია | ესპანეთი | ჩეხოსლოვაკია |
| 1937 | ლატვია | ლიტვა | იტალია | საფრანგეთი |
| 1939 | ლიტვა | ლიტვა | ლატვია | პოლონეთი |
| 1946 | შვეიცარია | ჩეხოსლოვაკია | იტალია | უნგრეთი |
| 1947 | ჩეხოსლოვაკია | საბჭოთა კავშირი | ჩეხოსლოვაკია | ეგვიპტე |
| 1949 | ეგვიპტე | ეგვიპტე | საფრანგეთი | საბერძნეთი |
| 1951 | საფრანგეთი | საბჭოთა კავშირი | ჩეხოსლოვაკია | საფრანგეთი |
| 1953 | საბჭოთა კავშირი | საბჭოთა კავშირი | უნგრეთი | საფრანგეთი |
| 1955 | უნგრეთი | უნგრეთი | ჩეხოსლოვაკია | საბჭოთა კავშირი |
| 1957 | ბულგარეთი | საბჭოთა კავშირი | ბულგარეთი | ჩეხოსლოვაკია |
| 1959 | თურქეთი | საბჭოთა კავშირი | ჩეხოსლოვაკია | საფრანგეთი |
| 1961 | იუგოსლავია | საბჭოთა კავშირი | იუგოსლავია | ბულგარეთი |
| 1963 | პოლონეთი | საბჭოთა კავშირი | პოლონეთი | იუგოსლავია |
| 1965 | საბჭოთა კავშირი | საბჭოთა კავშირი | იუგოსლავია | პოლონეთი |
| 1967 | ფინეთი | საბჭოთა კავშირი | ჩეხოსლოვაკია | პოლონეთი |
| 1969 | იტალია | საბჭოთა კავშირი | იუგოსლავია | ჩეხოსლოვაკია |
| 1971 | გფრ | საბჭოთა კავშირი | იუგოსლავია | იტალია |
| 1973 | ესპანეთი | იუგოსლავია | ესპანეთი | საბჭოთა კავშირი |
| 1975 | იუგოსლავია | იუგოსლავია | საბჭოთა კავშირი | იტალია |
| 1977 | ბელგია | იუგოსლავია | საბჭოთა კავშირი | ჩეხოსლოვაკია |
| 1979 | იტალია | საბჭოთა კავშირი | ისრაელი | იუგოსლავია |
| 1981 | ჩეხოსლოვაკია | საბჭოთა კავშირი | იუგოსლავია | ჩეხოსლოვაკია |
| 1983 | საფრანგეთი | იტალია | ესპანეთი | საბჭოთა კავშირი |
| 1985 | გფრ | საბჭოთა კავშირი | ჩეხოსლოვაკია | იტალია |
| 1987 | საბერძნეთი | საბერძნეთი | საბჭოთა კავშირი | იუგოსლავია |
| 1989 | იუგოსლავია | იუგოსლავია | საბერძნეთი | საბჭოთა კავშირი |
| 1991 | იტალია | იუგოსლავია | იტალია | ესპანეთი |
| 1993 | გერმანია | გერმანია | რუსეთი | ხორვატია |
| 1995 | საბერძნეთი | იუგოსლავია | ლიტვა | ხორვატია |
| 1997 | ესპანეთი | იუგოსლავია | იტალია | რუსეთი |
| 1999 | საფრანგეთი | იტალია | ესპანეთი | იუგოსლავია |
| 2001 | თურქეთი | იუგოსლავია | თურქეთი | ესპანეთი |

### A ჯგუფი
ლულეო
სლოვენია
საფრანგეთი
ბოსნია
იტალია

### B ჯგუფი
ნორჩიოპინგი
ლიტვა
გერმანია
ისრაელი
ლატვია

### C ჯგუფი
სოდერტალე
სერბეთი-ჩერნიგორია
ესპანეთი
შვედეთი
რუსეთი

### D ჯგუფი
ბორასი
საბერძნეთი
უკრაინა
თურქეთი
ხორვატია

### ჯგუფური ეტაპი
5 სექტემბერი
გერმანია — ისრაელი
უკრაინა — თურქეთი
სლოვენია — იტალია
ლიტვა — ლატვია
სერბეთი — რუსეთი
საბერძნეთი — ხორვატია
საფრანგეთი — ბოსნია
ესპანეთი — შვედეთი

6 სექტემბერი
ლატვია — გერმანია
ბოსნია — სლოვენია
ისრაელი — ლიტვა
რუსეთი — ესპანეთი
ხორვატია — უკრაინა
იტალია — საფრანგეთი
შვედეთი — სერბეთი
თურქეთი — საბერძნეთი

7 სექტემბერი
სლოვენია — საფრანგეთი
ლიტვა — გერმანია
სერბეთი — ესპანეთი
საბერძნეთი — უკრაინა
ბოსნია — იტალია
ისრაელი — ლატვია
შვედეთი — რუსეთი
თურქეთი — ხორვატია

### მეოთხედფინალში გასასვლელი მატჩები
*(ჯგუფში გამარჯვებულები მეოთხედფინალიდან გააგრძელებენ ბრძოლას)*

8 სექტემბერი
C2 — D3
D2 — C3
A2 — B3
B2 — A3

### მეოთხედფინალი
სტოკჰოლმი
10 სექტემბერი
A. A1 — C2/D3
B. B1 — D2/C3
11 სექტემბერი
C. C1 — A2/B3
D. D1 — B2/A3

### ნახევარფინალი
სტოკჰოლმი
13 სექტემბერი
E. A — B
F. C — D

### ფინალი
14 სექტემბერი
E — F

# ჩუბინიძე დინამოში რჩება

## ხორვატი მხოლოდ ხორვატებს ხედავს

**აქამდე** ცნობილი იყო, რომ „დინამოს“ ნაჩემპიონარი შემადგენლობიდან მხოლოდ სამი კალათბურთელი — ირაკლი ხოშტარია, ვახტანგ მინაშვილი და ვლადიმერ ბეჟანიშვილი დაიტოვა, მაგრამ ძველებიდან დრაჟენ ბრაიკოვიჩს თურმე კიდევ ერთი მოთამაშის, ზურაბ ჩუბინიძის შენარჩუნება სურს.

ჩუბინიძეს სეზონის ბოლოს „დინამოსთან“ კონტრაქტი დაუსრულდა და ჩემპიონებს დაემშვიდობა. გუშინწინდლამდე საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ზურაბს თსუ-ში უნდა გაეგრძელებინა კარიერა. სტუდენტთა ახალდანიშნულმა მწვრთნელმა გია ჯავახიშვილმა „სარბიელს“ უთხრა, კიდეც, რომ მისი გუნდი სწორედ ჩუბინიძით იყო დაინტერესებული და მასთან მოლაპარაკებასაც აწარმოებდა. სტუდენტთა იმედებს ბრაიკოვიჩის თანაშემწის, ზურაბ ტომარაძის სატელეფონო ზარმა გადაასხა ცივი წყალი, ჩუბინიძეს „დინამო“ ეპატიჟებოდა...

„ზურაბ ტომარაძემ ორი დღის წინ დამირეკა და „დინამოში“ გადასვლა შემომთავაზა — გვითხრა გუშინ ჩუბინიძემ — მქონდა სხვა ვარიანტიც, მაგრამ ისევ ჩემი ძველი გუნდი ვარჩიე. დინამოელებთან ვარჯიში უკვე დავიწყე, მაგრამ კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია“.

„დინამოსთან“ კონტრაქტი ჩუბინიძეს კი არა, ჯერ არც ერთ კალათბურთელს არ აქვს. ჩემპიონებს ვინც ეზედმეტათ, ის მოთამაშეები დაითხოვეს და ახალ გუნდს ნელ-ნელა ავსებენ. აი, ის თერთმეტეული, დღეს „დინამოში“ რომ ვარჯიშობს: არჩილ ჟღენტი, კოტე ტუღუში, ლაშა გამყრელიძე, მიხეილ ჩიტაშვილი, ირაკლი ხოშტარია, ვლადიმერ ბეჟანიშვილი, ირაკლი კეიდია,



დავით ჩუბინიძე ისევ დინამოელია

ლაშა ლოსაბერიძე, დავით მუშკუდიანი, ვახტანგ მინაშვილი და ახლა უკვე ზურაბ ჩუბინიძეც.

შეიცვალა ბრაიკოვიჩის ადრინდელი გადაწყვეტილებაც, ოთხი ლეგიონერი უნდა ჩამოვიყვანოო. „დინამო“ ორი უცხოელის, თან უეჭველად ხორვატების, ჩამოყვანას აპირებს.

**ირაკლი პერტაია**

# ძმაკაცობის ამბავში

## ბერდმა ინდიანაში მეგობარი მიიყვანა



რიკ კარლაილი „ინდიანაში“ ბრუნდება

**„ინდიანა პეისერზის“** ახლახან დათხოვნილ მწვრთნელ აიზია ტომასს მალევე გამოუჩნდა მემკვიდრე. ინდიანელთა პრეზიდენტმა ლარი ბერდმა კლუბი დიად „ბოსტონში“ თანაგუნდელსა და მეგობარს, ამ სეზონის ბოლოს „დეტროიტიდან“ წამოსულ რიკ კარლაილს ჩააბარა.

არადა, ლარი ბერდს ცოტაც რომ დაგვიანებოდა, კარლაილი ჟურნალისტი გახდებოდა. „ერთი-ორი დღეც და ტელეკომპანია „ესპიენი“ კონტრაქტს შემომთავაზებდა. საბოლოოდ გადაწყვეტილი მქონდა სატელევიზიო სტუდიაში გადაბარგება და ნბა-ს მატჩების წამყვან-ანალიტიკოსობა, მაგრამ ბერდის სატელეფონო ზარმა ჩემი გეგმები თავდაყირა დააყენა“.

კარლაილმა ვერ გაუძლო ცდუნებას და კალათბურთის ცოცხალ ლეგენდას ტელეფონით საუბრისასვე დათანხმდა. ძველი თანაგუნდელები დაფაცურდნენ და მყისიერი გადაწყვეტილება ოთხშაბათს პრესკონფერენციაზე გამოცახადეს.

ჟურნალისტებთან შეხვედრისას კარგ ხასიათზე იყვნენ გარიგებით კმაყოფილი ძველი ბოსტონელები და არც ოხუნჯობა დაივიწყნიათ. კარლაილს საზოგადოების გახალისება სურდა და მისი, ბერდისა და „ინდიანას“ მეპატრონე დონი უოლშის მეგობრულ ურთიერთობებზე ეს თქვა: „დონი ზრდილობის სკოლაში სიარულს მირჩევდა, ლარი კი დეილ კარნეგის კურსებს. მე მათ ვუპასუხე, თუ კარნეგის კურსებზე შევალ, პირდაპირ მეათეზე დამსვამენ-მეთქი. მათ არ დამიჯერეს“.

ხუმრობა იქით იყოს და, კარლაილი მართლაც კარგი სპეციალისტია. შარშან ის „დეტროიტში“ წლის მწვრთნელად აღიარეს, წლეულს კი ეს გუნდი აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალშიც გაიყვანა.

კარლაილს უკვე აქვს „ინდიანაში“ მწვრთნელად მუშაობის გამოცდილება. 1997-2000 წლებში, ანუ ინდიანელთა „ოქროს ხანაში“, იგი ლარი ბერდის თანაშემწე იყო, როცა დღევანდელი პრეზიდენტი კლუბში მთავარ მწვრთნელად მუშაობდა.

„ინდიანაში“ მისულ კარლაილს პირველ რიგში გუნდის მეამბოხე ლიდერის, ჯერმენ ონილის დაშოშმინება მოუწევს. ონილი თავისუფალი აგენტია და აიზია ტომასის გუნდიდან გაშვების შემდეგ ხელმძღვანელობის გასაგონად განუცხადებია, თუ ძველ მწვრთნელს არ დაგვიბრუნებთ, კონტრაქტს აღარ გაგიგრძელებთო.

„ჯერმენს შაბათს ველაპარაკე — აცხადებს კარლაილი — ვუთხარი, ვიცი შენი დამოკიდებულება ტომასთან, როგორც მწვრთნელთან, მასწავლებელთან და მეგობართან. ვეცდები, ის ისე შევცვალო, რომ შენ არავითარი დისკომფორტი არ იგრძნო-მეთქი. ონილი ძალიან თბილი ბიჭია და მგონი, გამიგო სათქმელი.“

**ირაკლი პერტაია**

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის დადგენილებით დაიწყო ფედერაციაში გაწევრიანება. გაწევრიანების მსურველებმა მიმართონ საქართველოს კალათბურთის ფედერაციას.
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი №49ა



*კარატეს ოთხი ტრადიციული სახეობიდან (შოტოკანი, შიტო-რიუ, გოჯუ-რიუ და ვადო-რიუ) ერთ-ერთს, ვადო-რიუს ჩვენში მიმდევრები ჯერ კიდევ 60-იან წლებში გამოსჩენია. მაგრამ ისინი საბჭოთა კავშირში ერთი ხანობა არალეგალურად ვარჯიშობდნენ და პირველი ოფიციალური ტიტულები მათმა მოსწავლეებმა მოიხვეჭეს, რომელთაც ევროპული და მსოფლიო რანგის წარმატებებს მიაღწიეს*

# დიდი სენსეის დიდი მოწაფე

**90-იანი** წლების ბოლოს ვადო-რიუს სტილის დამფუძნებლის, ჰირონორი ოცუკას ერთ-ერთმა პირველმა მოწაფემ ტაცუო სუძუკიმ ვადოს საერთაშორისო კარატე-დოს ფედერაცია ჩამოაყალიბა, რომელშიც მსოფლიოს 56 ქვეყნის ვადო-რიუს ფედერაცია გაერთიანდა. ამათში ერთ-ერთი პირველნი ქართველები იყვნენ.

ორი დღის წინ 75 წლის სენსეი სუძუკი თბილისს ეწვია, აქ ერთ კვირას დაჰყოფს და სამდღიან სემინარსაც ჩაატარებს. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მერვე დანის მფლობელ ტაცუო სუძუკის გვერდს ევროპის ჩემპიონი და მეოთხე დანის მფლობელი მეუღლე და ვადოს საერთაშორისო კარატე-დოს ფედერაციის გენერალური მდივანი რობერტ ჰამილტონი უმშვენებდნენ. აი, რა თქვა სენსეი სუძუკიმ:

— საქართველოში პირველად ვარ, მაგრამ ამ ქვეყანაზე აქამდეც ბევრი ვიცოდი. ჯერ მხოლოდ ორი დღეა, თქვენს დედაქალაქს ვსტუმრობ და მასზე საუბარი ჯერ გამიჭირდება, ორი რამ კი უკვე აშკარაა — თქვენი სტუმართმოყვარეობა და იაპონელთა მსგავსი ბრძოლისუნარიანობა. დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრ კარგს აღმოვაჩენ. საქართველოში ჩამოსვლა აქამდეც არაერთხელ მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე, რადგან ძალიან დაკავებული ვარ. ჩვენს ფედერაციაში 56 ქვეყანაა გაწევრიანებული და მუდმივად მოგზაურობა მიწევს. მომავალი წლის ივნისამდე გეგმა უკვე წინასწარ მაქვს შედგენილი. წინა კვირას გერმანიაში ჩავატარე სემინარი, რომელსაც სხვა საბრძოლო ხელოვნებათა წარმომადგენლებიც მრავლად დაესწრნენ. იყვნენ საფრანგეთიდან, ინგლისიდან და შვეიცარიიდანაც. ჩემი აზრით, სხვადასხვა საბრძოლო სტილის მიმდევრებს ერთმანეთთან კავშირი უნდა გვქონდეს. ეს თითოეული ჩვენგანის სახეობას მოუტანს სარგებელს. რა სამწუხაროა, რომ კარატე ოლიმპიური სახეობა ვერა და ვერ გახდა. არადა, ეს ერთი შეხედვით ძალიან ადვილია და არც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტია წინააღმდეგი. მაგრამ ხელს კარატეს ტრადიციული სახეობების ზოგიერთი წარმომადგენლის გაუგებარი ქცევა გვიშლის. ჯერ კიდევ 10-15 წლის წინ აღიარა ოლიმპიურმა კომიტეტმა კარატეს მსოფლიოს ფედერცია (WKF), თუმცა კარატეში ერთი მმართველი ორგანიზაცია დღესდღეობით მაინც არ არსებობს. ყველანი განცალკევებულნი ვართ და ესაა მთავარი პრობლემა.



ტაცუო სუძუკი საქართველოში გვეწვია

სტუმარმა პრესკონფერენციის ბოლოს აღნიშნა, რომ თავის ცხოვრებაზე წიგნის გამოცემას აპირებს და მემუარებს უკვე სერიოზულადაც ჩასჯდომია.

— ჩემი მასწავლებელი სენსეი ოცუკა 90 წლისა გარდაიცვალა და სიკვდილამდე ხუთი წლით ადრე ყოველდღე ვარჯიშობდა. მეც მინდა, მას ვგავდე. ხშირად მეკითხებიან, სენსეი, როდის გახვალ პენსიაზე? ამაზე ყოველთვის ერთსა და იმავეს ვპასუხობ — როცა მოვკვდები. მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა: კარატე ცხოვრების წესია, რომლისთვისაც ასაკი არ არსებობს — ასე დაასრულა პრესკონფერენცია იაპონელმა სტუმარმა.

**ოთარ გაღლაძელიძე**



# ხელბურთელები ბაიათებით იწყებენ

**უჩვეულოდ** ადრე იწყება ხელბურთის სეზონი საქართველოში. ტრადიციულად, ჩვენი წამყვანი კლუბები სექტემბრის ბოლოს და ოქტომბერში ევროთასების მატჩებს მართავენ, მერე კი, ნოემბერში, ეროვნული ჩემპიონატის დროც მოდის ხოლმე.

დღეს თბილისში, არმიის სპორტული კლუბის დარბაზში, დაიწყება ორი თვის წინ გარდაცვლილი ვეტერანი ხელბურთელის, გიორგი სადრაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი. ოთხგუნდა წრიულ შეჯიბრში ჩაებმებიან საქართველოს 13-გზის ჩემპიონი, ტექნიკური უნივერსიტეტის „შევარდენი“, თბილისის ნაკრები, თურქეთის უმაღლესი ლიგის მეოთხეადგილოსანი, ტრაბზონის „ბელედიესფორი“ და აზერბაიჯანის ნაკრები.

პირველ ტურში ერთმანეთს ხვდებიან „ბელედიესფორი“ და აზერბაიჯანის ნაკრები, „სტუ-შევარდენი“ და თბილისის ნაკრები. მატჩები ასკ-ს დარბაზში 12 საათზე დაიწყება.

ეს სამდღიანი ასპარეზობა მშვენიერი გავარჯიშება იქნება ევროპულ სარბიელზე გასვლის წინ. „სტუ-შევარდენს“ ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასის გათამაშებაში მეტოქედ ბელარუსის „ბრესტსკი მეშკოვო“ ჰყავს, „ჩელენჯ კაპზე“ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამული“ მაკედონიის „ტუტუნსკი კომბინატს“ შეხვდება, ხოლო ვერცხლის პრიზიორ „თბილისის“ მოწინააღმდეგე მოგვიანებით გაირკვევა. ჩვენი მეოთხე წარმომადგენელი, „ქუთაისი“ თასების თასზე ესტონურ „პოლვა სერვიტს“ შეებრძოლება.

US OPEN 2003 ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 17 074 000 $

# ხაიტარაკუმენ ამერიკა
## ის დროა, ალა არლენმა თერძი ბესო გამოიძახოს

**მეოთხე წრე**

**კაცები**

**ენდი როდიკი (4, აშშ) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:3, 6:4, 7:6 (7:5)**

საამდღეებო ნიუ იორკი ისეთივე უხვნალექიანი და ჩაწუწული ალაგია, როგორც რომ სასკოლო სახელმძღვანელოდან ცნობილი ჩერაპუნჯა — წლის განმავლობაში ყველაზე მეტი წვიმის მიმღები ინდური სოფელი.

ოღონდ ჩერაპუნჯაში წლის ერთ-ერთი უმთავრესი საჩოგბურთო ტურნირი არ იმართება და გაუთავებელმა სველოსნობამ, დიდი-დიდი, გამოლმა და გაღმასოფლელ მოკრიკეტეთა ღლაბუცი წამურდლოს.

ნიუ იორკი კი მსოფლიოს სატახტო გახლავთ და წლის უკანასკნელ სლემტურნირზე იმოტელა მილეთს შემოიკრებს ხოლმე, რომ ზედიზედ რამდენიმე დღის განმავლობაში გადაუღებელი წვიმა მისთვის დაუშვებელი გაუგებრობაა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, დაგეგმილი ძალთუმრავლესი მატჩის ნაცვლად უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში იქ მხოლოდ ოთხი შეხვედრა მომთავრდა. სამზე წინა ნომრებში მოგახსენეთ, დღეს კი ტურნირის ერთ-ერთ მთავარფავორიტ ენდი როდიკის მიერ კიკინა ბელგიელ ქსავიე მალისის მოშთობაზედ გიამბობთ.

თუმცა საამბობი აქ ვინძლო ბევრიც არაფერი იყოს — ენდიბოიმ ისე-რა მეტოქე დამაჯერებლად ჰგვემა და ტოლსწორად მხოლოდ ერთხელ, მესამე სეტის მიწურულში გაეპაექრა. მალისმა ვერაფერი დაუპირისპირა ჭაბუკი იანკის გლაჯუნა მოწოდებასა და საშურ სტაბილურობას და — საწვიმარ პაუზებს თუ არ გავითვალისწინებთ — პირველი მოწოდებიდან ორი საათისა და შვიდი წუთის თავზე დანებდა.

მეოთხედფინალში როდიკს სხენგ შალკენსა და რაინერ შუტლერს შორის გამარჯვებული შეხვდება. ამათ იმ დღეს კორტზე გასვლა კი მოასწრეს, მაგრამ შალკენი 5:1 რომ იგებდა, თამაშის გაგრძელება შეუძლებელი გახდა.

ასევე არ დასცალდათ თავიანთი მეოთხედფინალური შეხლის მოთავება კიმ კლაისტერსსა და ამელი მორესმოს — კორტზე მათ მხოლოდ ათი წუთი დაჰყვეს და მატჩის შეწყვეტის მომენტისთვის ბუთქუნა ბელგიელი 3:0-ით უპირატესობდა.

სხვაფრივ — წვიმიანობისა და ამის შედეგად სატურნირო განრიგის აღრევის გამო ამ დღეებში ყველაზე ხშირად აშშ-ის საჩოგბურთო



ნიუ იორკს სამყაროს ცენტრს ეძახიან, მაგრამ ამ „ცენტრში" წვიმასთან ბრძოლის ორგანიზებაც კი უჭირთ

REUTERS ნიუ იორკი

ასოციაციის მთავარაღმასრულებლის, არლენ კანტარიანის სახელს ახსენებენ. ბუნებრივია — ალა არლენისთვის არც ისე სახარბიელო კონტექსტებში.

ხალხი გაოცებას ვერ მალავს: მელბურნულ სეფექორტებზე დამონტაჟებულ მოძრავ სახურავებს ვინლა ჩივის, ნიუიორკულ სეფეკორტებს, უიმბლდონურისა და როლანგაროსულებისგან განსხვავებით, წვიმის დროს ხალიჩებსაც კი არ აფარებენ. შედეგად — წვიმის გადაღების მერე უამრავი მოსამსახურე საჩოგნეთს ჩვეულებრივი პირსახოცებითა და რამე-რუმეებით აშრობს, რაიც, რბილად რომ ვთქვათ, ძალზედ ბითური სანახავია.

ალა არლენი საფუძვლიან ბრალდებათა პასუხად მხოლოდ ბუნდოვანი პასუხებით შემოიფარგლება და გვარწმუნებს, რომ ტურნირის ორგკომიტეტი ამიერიდან დასტურ იზრუნებს ფლეშინგმედოუზური სარბიელების მოძრავი სახურავებით აღჭურვაზე...

ფის ეს, ალა არლენ, ფის ეს:

მენ ლაიკ იუ ხაიტარაკუმენ ამერიკა.

**ლევან ძელაურაძე**



# ფანცულაიამ თურქთა ასეული დაამარცხა

*ამ ბოლო ხანებში თურქეთის ჭადრაკის ფედერაცია საკმაოდ გააქტიურდა და ყველაფერს აკეთებს სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის. წლეულს ჩვენმა მეზობლებმა უკვე რამდენიმე დიდ შეჯიბრსა თუ ტურნირს უმასპინძლეს, სადაც ქართველებიც მონაწილეობდნენ და, სხვათა შორის, თურქეთიდან საკმაო ჯილდოებიც ჯილდოები.*

*ამჯერად საჭადრაკო თამაშების მასპინძლობა ქალაქ იზმირმა ითავა, ხოლო სპონსორობა — ადგილობრივმა ეკონომიკის ინსტიტუტმა.*

*ტურნირმა საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა და ჩვენდა სასიამოვნოდ, გამარჯვებული 17 წლის ქართველი ლევან ფანცულაია გახდა.*

*ტურნირზე სულ 138 მოჭადრაკე მონაწილეობდა, საიდანაც 119 თურქი იყო. გურჯი მოაზროვნეების არმიაც არ იყო მცირერიცხოვანი, იზმირში 15 ჩვენებური ცდიდა გონებას*

**ლევან ფანცულაიამ** მეორე ქართველის ზვიად იზორიას მსგავსად ტურნირი 7,5 ქულით დაასრულა, თუმცა დამატებითი მაჩვენებლების გათვალისწინებით პირველობა ფანცულაიას დარჩა. ლევანის გამარჯვებაში კიდევ ერთ ქართველს კონსტანტინე შანავასაც დიდი წვლილი მიუძღვის, ბოლო ტურში სწორედ შანავამ აართვა ძვირფასი ნახევარი ქულა ტურნირის ფავორიტად შერაცხულ ბელგიელ მიხეილ გურევიჩს, რომელსაც საბოლოოდ მესამე ადგილიღა შეხვდა.

ახლა კი მოვლენებს თანმიმდევრობით მივყვეთ.

ბოლოსწინა ტურის შემდეგ ცხრილის სათავეში 6,5-6,5 ქულით ერთბაშად ექვსი მონაწილე წამოსკუპდა, მათგან ხუთი ქართველი იყო. ლევან ფანცულაიას, ზვიად იზორიას, დავით შენგელიას, კონსტანტინე შანავასა და თამაზ გელაშვილს პირველობას ასევე მიხეილ გურევიჩიც ეცილებოდა. თამაშები შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობდა და შესაბამისად ბოლო ტურში ზემოთ ჩამოთვლილი ექვსეული დაუწყვილდა ერთმანეთს. შანავა გურევიჩს შეხვდა, იზორია — შენგელიას, ფანცულაია — გელაშვილს.

ქართველმა ბელგიელთან თამაში მეფის გამბიტით დაიწყო, მეტოქე კი პაიკების ერთი უჯრით დაწინაურებას შეუდგა. მოთამაშეებმა თავიანთი მეფეები საიმედო ადგილას რომ დაიგულესეს, დაფაზე ფიგურების მობილიზება დაიწყეს და იერიშებიც განახორციელეს.

სახიფათოდ თამაშობდა ორივე მოჭადრაკე. ისინი ერთმანეთს ხეირიანი შეტევის განხორციელების საშუალებას არ აძლევდნენ, რის გამოც თამაში ხოცვა-ჟლეტაში გადაიზარდა და დაფა თანდათან დაცარიელდა. საბოლოოდ კი 51-ე სვლაზე მოწინააღმდეგეებმა ბრძოლა შეწყვიტეს, ორივესთვის დამღუპველი ზავი გამოაცხადეს და პირველ ადგილს გამოემშვიდობნენ.

იზორიამ შენგელიასთან პარტია ნაკლებად ცნობილი დებიუტით, მხედარი f3-ით დაიწყო, ზვიადს არც დავითი ჩამორჩა და მეტოქეს ასევე ნაკლებადცნობილი b6-ით უპასუხა. ამის შემდეგ მოჭადრაკეებმა საკუთარი ხელმწიფეები საიმედოდ გადამალეს და იერიშებიც დაიწყეს.

შეტევაში თავიდან შენგელიამ იაქტიურა, იგი მეექვსე სვლაზე იზორიას მეფის გამაგრებულ ციხე-სიმაგრეს დააცხრა, ბრძოლით გაიკვლია გზა და მე-15 სვლაზე მისი შავი კუ თეთრი მეფის რეზიდენციაში შეიჭრა, თუმც ამ შეხლა-შემოხლაში იზორიამ შეძლო მეტოქის ზურგის ძალების განადგურება და შენგელიაც იძულებული გახდა, ფიგურა უკან გამოეწვია და მეტიც, საკუთარ ტერიტორიაზე გადაეყვანა. ამ შეტაკების შემდეგ უპირატესობას იზორია დაეუფლა, უკან დახეულ მეტოქეს დიდი ძალებით შეუტია და 32-ე სვლაზე გაიმარჯვა კიდეც.

ფანცულაიამ, იზორიას მსგავსად, დებიუტში მხედარი f3-ზე ითამაშა და ტერიტორიის გამაგრება დაიწყო. გელაშვილმაც თავიდანვე იერიშის განხორციელებისგან თავი შეიკავა და საკუთარ ტერიტორიაზე ფიგურების მობილიზაცია დაიწყო.

პირველი შეხლა მე-11 სვლაზე მოხდა, რაც ფიგურების გაცვლითი თამაშს უფრო ჰგავდა, თუმცა ამ შერკინებისას ფანცულაიამ ორივე მხედარი დაკარგა.

თამაშის ძირითადი ნაწილი მეფის ფლანგზე გაგრძელდა და ორივე მხარე ძირითადად მეტოქის ტერიტორიის დალაშქვრას ცდილობდა. ამ ბრძოლისას კი მარცხენა ფლანგზე შავების პაიკმა დრო იხელთა, წინ გაიჭრა და თეთრების ჩასათვლელ ხაზს მიუახლოვდა. თამაშმა მარჯვენა ფლანგიდან მარცხნივ გადაინაცვლა.

ფანცულაიამ შავების წინწაწეულ გმირ პაიკს დიდი ძალები დაასია, მაგრამ გელაშვილმაც მის დასაცავად საკმაო ძალებს უხმო და შავი პაიკის გარშემო დიდი ბრძოლა გაიმართა. ამ შეტაკებისას ორივე მხარემ დაკარგა ლაზიერი, თუმც ამაზე ლევანს საერთოდ არ უნაღვლია, რადგან უკეთეს სათამაშო პოზიციაში აღმოჩნდა, შავებს ის პაიკი 43-ე სვლაზე აცალა და იერიშებით დასუსტებულ მეტოქეს შეუტია. ბრძოლა დიდხანს აღარ გაგრძელებულა და შვიდიოდე სვლაში გელაშვილმა ფანცულაიას გამარჯვება მიულოცა.

ამ მოგებით ფანცულაიამ 7,5 ქულა დააგროვა და მხოლოდ უკეთესი მაჩვენებლებით გაუსწრო ამდენივე ქულიან იზორიას.

მათ გარდა კი საუკეთესო ათეულში კიდევ ოთხი ქართველი მოხვდა. კონსტანტინე შანავა მეხუთე ადგილზე გავიდა, ლევან აროშიძე მეექვსეზე, დავით შენგელია მერვეზე, ხოლო ვალერიან გაფრინდაშვილი მეცხრეზე.



ზვიად იზორიამ საჩემპიონო დაფა ლევან ფანცულაიასთან დათმო

**ლუკა გეგეჭკორი**

# მუტოლას ამოტოლა

მოზამბიკელმა დედალმა ავაზამ მარია მუტოლამ სულ ახლახან მსოფლიოს ჩემპიონატზე ხომ მოიგო თავისი ნილი 800 მეტრი და ახლა ოქროს ლიგის ბოლო, რიგით მეექვსე ეტაპის მოსაგებად ბრიუსელში ჩასულა. მანამდე ხუთივე მოუგია და თუ ახლაც იმუტოლა, ოქროს ლიგის მრგვალ ჯეკპოტს 1 000 000 დოლარს ჩაიჯიბავს. მგონი, გასაგებია, რატომაა ხალისობის გუნებაზე




REUTERS ბრიუსელიდან



REUTERS მაიამიდან

# ლათინთა გრემის გოგოები

მაიამში ჩვეული მხიარულებით ჩატარდა ლათინური გრემის დაჯილდოება. წამყვანად იყო მექსიკელი ნატალია ლა ფურკადე, მაგრამ ვინუს უილიამსიც იქ ყოფილა, თავისი მოხდენილი სიმაღლითა და ნაკვეთობით. საუკეთესო მექსიკური სიმღერისთვის, რომელსაც „უიღბლო" ჰქვია, გრემი ჯოან სებასტიანმა მიიღო.

# სამსოფლიოსთასო

სიდნეიში ოფიციალურად გამოცხადდა ყოლაბების სამსოფლიოოსთასო შემადგენლობა. ფორვადი ალისტერ ბაქსტერი ნაკრების ახალი კაცია, თუმც ავტოგრაფთა მსურველების სიხალვათეს არ უჩივის. რაგბის მსოფლიო თასი 10 ოქტომბერს დაიწყება ოზების ქვეყანაში და უებ ელისის თასისთვის საბრძოლველად 20 გუნდი ემზადება.



REUTERS სიდნეიდან




REUTERS ბათიდან

# ბაკმორ პარკში

კენტის საგრაფოში დიდი სამოტორე მეურნეობა და კარტით ქრიალის კლუბი გაიხსნა. ცხადია, ახალი კარტების გამომცდელებად მანქანას დიდი კაცები იყვნენ, ვთქვათ, ბერნი ეკლსტოუნი (ჩამჯდარი) და განთქმული ძველი პილოტი სტირლინგ მოსი. მოკლედ, ბაკმორ პარკში მხიარულება იყო.

# გახსნის ნატყორცნი

ეს კარგად ნაცნობი ამბავია: „ბალტიმორ ორეოლზი" და „ოკლენდ ატლეტიკსი" ერთმანეთს ბეისბოლს ეთამაშებიან ბალტიმორის „კემდენ იარდსში", თამაში კი სიმბოლური ტყორცნით მსახიობმა ბილი ბობ ტორნტონმა გახსნა.



REUTERS ბალტიმორიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თაყართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge